ვიდრე უმრავლესობა განცხრომაში, ოპოზიცია ქულებს აგროვებს A2

პარლამენტარები ენგურის საპროტესტო აქციის მონაწილეებს შეხვდნენ A2

„ბი-ბი-სი" „ალ ჯაზირასთან" ითანამშრომლებს A4


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 19 იანვარი, 2003 წელი. №17 (229)

ფასი 50 თეთრი


# ზემო ლარსში ორივე გაზსადენი აფეთქდა

## გაზი ორ კვირაში იქნებაო

ზაზა ფაჩუაშვილი

*რუსეთის ტერიტორიაზე ზემო ლარსის საგუშაგოსთან პირველი აფეთქების ხმა 14 იანვარს დილის 4 საათზე გაისმა. ცეცხლი გაუჩნდა და მწყობრიდან გამოვიდა 1200-მილიმეტრიანი გაზსადენი. ამის გამო 700-მილიმეტრიანი სარეზერვო გაზსადენი ჩართეს, მაგრამ 17 იანვრის საღამოს ისიც დაზიანდა – გატყდა და აალდა. ორი დღის განმავლობაში საქართველო გაზსადენში დარჩენილი საწვავით მარაგდებოდა. დღეს, ალბათ, გაზი შეწყდება.*

შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ დილით თავის ჩრდილო ოსეთელ კოლეგას, ალანიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მიხაილ შატალოვს დაუკავშირდა და ადგილზე მოთათბირება შესთავაზა. რამდენიმე საათში ზემო ლარსის საგუშაგოზე საქართველოს დელეგაცია დაეშვა. ამ ტერიტორიაზე საქართველოს ვერტმფრენი ჯერ არ დამჯდარაო, ბრძანა საგუშაგოს უფროსმა კაპიტანმა დენისოვმა და ჟურნალისტებს ვერტმფრენისაკენ მიგვითითა, ბრძანება მაქვს, მაგას არ მოცილდეთო. ოფიციალურად არც გადაღების უფლება მოგვცეს.

სანამ ხელისუფალნი თათბირობდნენ, ამხანაგმა კაპიტანმა დაზიანების ადგილი დაგვანახა:

**"აი, იმ მთაზე ბორჯომის წყლისგან** (ეტყობა, რუს ოფიცერს ყველა მჟავე წყალი ბორჯომი ჰგონია) **გაწითლებულ ნანგრევს ხომ ხედავთ?**

გაგრძელება A2 გვერდზე



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*შეფიქრიანებული ავთანდილ ჯორბენაძე მაინც იმედით და მოლოდინით შეჰყურებს მიხაილ შატალოვს, რომელიც პირველ კომენტარს აკეთებს.*

# აფხაზეთი არ უნდა დავთმოთ!

## გაისმის პარლამენტსა და... რესტორანში

გიორგი ასანიშვილი

*"ერთხელაც იქნება, ჩამოინგრევა ჭერი და კედლები, იმდენი სისულელე გაისმის ამ დარბაზში", - აღშფოთებას ვერ მალავდა ზურაბ ჟვანია აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ პარლამენტში გუშინ გამართული მსჯელობის დროს. "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის განრისხება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ მაშინ, როდესაც საქმე რუსეთის მიერ აფხაზეთის საბოლოო ანექსიისკენ მიდის, საქართველოს ხელისუფლებას საპასუხო ნაბიჯების გადადგმის კონკრეტული გეგმა და, მითუმეტეს, სტრატეგია არ გააჩნია, პარლამენტში წარმოდგენილი პროსამთავრობო ძალები კი, ასეთ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში განგაშის ზარების შემოკვრის ნაცვლად, ყველას სიმშვიდისა და აკადემიურობისკენ მოუწოდებენ.*

*ზურაბ ჟვანიას გარდა, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში პროტესტი გუშინ სხვებმაც გამოთქვეს. მაგალითად, "მრეწველებმა". იმის მომიზეზებით, რომ საკითხის განხილვა "არასწორად მიმდინარეობდა" (და არა "ჭერისა და კედლების ჩამონგრევის" შიშით), მათ სხდომათა დარბაზი დატოვეს და... თავისი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის, ზურაბ ტყემალაძის დაბადების 59 წლის აღსანიშნავად, რესტორან "ძველ თბილისში" გაეშურნენ.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## ეკონომიკა

### მიხეილ სააკაშვილი პენსიების სამი ლარით გაზრდას ითხოვს

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი მთავრობას ორიგინალურ გარიგებას სთავაზობს. მისი თქმით, ხელისუფლებას ბიუჯეტის მეორე მოსმენით დასამტკიცებლად პარლამენტარებთან ვაჭრობა აქვს გამართული. სააკაშვილი კი მთავრობას გამჭვირვალე გარიგებას სთავაზობს, თანაც პენსიონერების საკეთილდღეოდ.

A2

## სამართალი

### ექსპერიმენტი ორი შემადგენლობით

თბილისის "დინამომ" კვიპროსზე ხაბაროვსკის სკა-სთან პირველი ტესტ-მატჩი გამართა, რომელიც ფრედ - 1:1 დასრულდა.

A6

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 6 |
| ქუთაისი | 9 |
| ბათუმი | 11 |
| სოხუმი | 10 |
| ფოთი | 11 |
| თელავი | 6 |
| ზუგდიდი | 11 |
| გორი | 3 |
| ახმეტა | 4 |
| ჭიათურა | 6 |
| გაგრა | 9 |
| სამტრედია | 9 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.3262 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5296 |
| რუბლი | 0.0688 |

# მაღალჩინოსანი ოფიცერი კოლეგამ მოკლა

*18 იანვარს, გამთენიისას, სამართალდამცველებმა ერთი კვირის წინ გაუჩინარებული ლევან ტაბაღუას გვამს მიაგნეს. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსის დაცხრილული გვამი სოფელ ნიჩბისთან, დიდგორის ველზე იყო ჩაფლული.*

სოფიკო ჩხაიძე

ლევან ტაბაღუა 10 იანვრის შემდეგ არავის უნახავს და გუშინდლამდე ის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. თუმცა კი, ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში მისი გაუჩინარების გამო სისხლის სამართლის საქმე თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისთვის აღიძრა. მას შემდეგ, რაც გამოძიება პოლიციის მიერ ჩატარებული მოკვლევის მასალებს გაეცნო, ბურუსით მოცული საქმის გახსნის იმედიც გაჩნდა. ეს იმედი გამართლდა, მეტიც, ადამიანმა, რომლისგანაც გამოძიება ზოგიერთი საინტერესო დეტალის გაგებას ელოდა, მოლოდინს გადააჭარბა – ლევან ტაბაღუას გვამის ადგილ-სამყოფელი დაასახელა. ძნელი სათქმელია, ჩვენების ჩამოსართმევად გამოძახებულ გვარდიის ჩინოსანში, რომელთან ერთადაც უკანასკნელად უნახავთ ლევან ტაბაღუა, გამოძიება მაშინვე ხედავდა მკვლელს, თუ არა, ოღონდ ფაქტია, მიხეილ კერესელიძის

გაგრძელება A4 გვერდზე

# პოლიცია მოქალაქეების დაშინებასა და ფულის გამოძალვაში ადანაშაულებენ

თამარ კაციტაძე

არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" სამიზნე გუშინდელ პრესკონფერენციაზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის სამართალდამცველები აღმოჩნდნენ. ადვოკატ როლანდ ასაკაშვილის განცხადებით, იგი, რამდენიმე თვეა, ცდილობს, დაამტკიცოს აღნიშნული რაიონის პოლიციის უკანონო ქმედებები და დაიცვას თავისი უდანაშაულო კლიენტების უფლებები, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც ადვოკატი ირწმუნება, გასული წლის ნოემბერში გლდანი-ნაძალადევის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ზვიად ზვიადაური სახლიდან მოტყუებით გაიყვანეს და დააკავეს. დაკავების მიზეზად სამართალდამცველებმა ოპერატიული ინფორმაცია დაასახელეს – ვიცით, სამი დღის წინ ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" რომ მოწიეო. ზვიადაურის კატეგორიული უარის შემდეგ, პოლიციელებს იგი ნარკოლოგიურ დისპანსერში წაუყვანიათ და ანალიზები აუღიათ. ვინაიდან ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება მსუბუქ დანაშაულთა კატეგორიას ეკუთვნის, ზვიადაური ხელწერილით გაუშვეს და მეორე დღეს ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის

გაგრძელება A4 გვერდზე

# რუსთაველებს საკუთარი მაჟორიტარი მაინც არ ჰყავთ

თამარ მჭედლიშვილი

*"საქართველოს პარლამენტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქმედება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული აშკარა ძალადობაა. პარლამენტმა თავისი ქმედებებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი საკანონმდებლო ორგანო კი არა, კანონისა და ხალხის ნების უგულებელყოფის მექანიზმია. პარლამენტმა უგულებელყო რუსთაველი ამომრჩევლის ნება და არად ჩააგდო მესამე, სასამართლო ხელისუფლება, როგორც დავის გადაწყვეტის კონსტიტუციური გარანტი", - ასე გამოეხმაურა არასამთავრობო ორაგნიზაციათა კოალიცია "სამართლიანი არჩევნებისათვის" პარლამენტის დადგენილებას, რუსთაველი როლანდ მგალობლიშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის თაობაზე.*

უახლოეს მომავალში კოალიცია პარლამენტის წინ საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს. კოალიცია ასევე მიმართავს რუსთაველ ამომრჩეველს – **"ხალხს, რომელსაც აქვს სამოქალაქო ღირსება, ნუ ჩათვლიან როლანდ მგალობლიშვილს საკუთარ ხმად პარლამენტში".**

როგორც ჩანს, არასამთავრობოების პროტესტმა დეპუტატთა კორპუსში საკმაოდ სერიოზული დისკომფორტი გამოიწვია. გუშინ პარლამენტართა უმრავლესობა უკვე აღიარებდა, რომ როლანდ მგალობლიშვილისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობა არასწორი გადაწყვეტილება იყო. თუმცა, დეპუტატები თავის გასამართლებლად იმასაც აცხადებდნენ, რომ საკითხის გამოტანა **"სრულიად გაუგებარ ვითარებაში მოხდა და მათ, ვინც მგალობლიშვილი საკუთარ კოლეგად აღიარეს, არაფერი იცოდნენ იმ**

გაგრძელება A2 გვერდზე

# საკრებულოს ანტიკორუფციული ბულდოზერი შეტევაზე გადადის

სოფო ბუკია

გლდანის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე ღრუტუნით "მობალახე" ღორებს თბილისის საკრებულომ გუშინ "ლუკმა პური" გამოაცალა.

ბულდოზერებით, ექსკავატორებითა და ენთუზიაზმით შეიარაღებული საკრებულოს წევრები, თბილისის ვიცე-პრემიერის გიორგი კარბელაშვილის თამადობით, გუშინ ნაგავსაყრელს მიადგნენ და იქ "დისლოცირებული" მეღორეობის თერთმეტამდე კაპიტალური ფერმა შტურმით დაანგრიეს.

მეღორეობის ფერმების დანგრევა ორიოდე დღის წინ სააკაშვილის ნაგავსაყრელზე ვიზიტისას გადაწყდა. საკრებულოს თავმჯდომარემ ღორებისა და ნაგვის ბიზნესში თბილისის რაიონული გამგებლები და მერია ამხილა და აღნიშნა, რომ ნაგვით გასუქებული ღორების ხორცით დედაქალაქის ბაზრები, რესტორნები და სასადილოები მარაგდება. **"ჩვენ მოვიყვანთ ბულდოზერებს და გადავუვლით ამ ფერმებს, თავის ღორებიანად,"** – განაცხადა მაშინ სააკაშვილმა.

გუშინ ბულდოზერი მართლაც მივიდა გლდანში, თუმცა ღორების გადამალვა მზრუნველმა მეპატრონეებმა მოასწრეს.



*გლდანის ნაგავსაყრელზე საღორეები დაანგრიეს.*

ვიცე-პრემიერმა კარბელაშვილმა აღნიშნული საღორეები დედაქალაქის კორუმპირებული სისტემის სიმბოლოდ მონათლა და შეგვპირდა, რომ საკრებულოს ანტიკორუფციული ბულდოზერი სულ მალე "ამ ძირმომპალ სისტემასაც" წარმატებით შეუტევს.

**"მერიიდან ჩვენ ვერაფერს მოვაგვარებთ. ქალაქის გასუფთავება სწორედ აქედან, ნაგავსაყრელიდან უნდა დავიწყოთ. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ჩვენ რეალურად გვინდა თბილისის გადარჩენა, რაც სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ,"** – აღნიშნა კარბელაშვილმა.

როგორც ვიცე-პრემიერი ამბობს, საკრებულომ უკვე დაიწყო ზრუნვა დედაქალაქის ნაგავსაყრელებზე. ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური აპირებს ნაგავსაყრელების მოვლა-პატრონობაზე ტენდერი გამოაცხადოს. თუმცა, მისი თქმით, საბოლოოდ ამ პრობლემის გადაწყვეტა რამდენიმე ათეულ მილიონთანაა დაკავშირებული.


A2 ინფორმაცია A3 რეკლამა A4 ინფორმაცია A5 კულტურა A6 სპორტი A7 სხვადასხვა A8 სხვადასხვა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# მიხეილ სააკაშვილი პენსიების სამი ლარით გაზრდას ითხოვს

*"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი მთავრობას ორიგინალურ გარიგებას სთავაზობს. მისი თქმით, ხელისუფლებას ბიუჯეტის მეორე მოსმენით დასამტკიცებლად პარლამენტარებთან ვაჭრობა აქვს გამართული. სააკაშვილი კი მთავრობას გამჭვირვალე გარიგებას სთავაზობს, თანაც პენსიონერების საკეთილდღეოდ.*



*მიხეილ სააკაშვილი*

სოფო კვინტრაძე

"ნაციონალების" ლიდერის განცხადებით, თუ 2003 წლის ბიუჯეტში ფინანსთა სამინისტრო პენსიების სამი ლარით გაზრდას გაითვალისწინებს, მაშინ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა" (11 ხმა) ბიუჯეტის კანონპროექტს მხარს დაუჭერს. თუმცა, სააკაშვილს არ განუმარტავს, რამდენად შესაძლებელია, ბიუჯეტის პროცედურის თანახმად, კანონპროექტში ცვლილებების შეტანა ახლა, როცა იგი უკვე პარლამენტში კენჭისყრაზეა წარდგენილი. როგორც ჩანს, სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ მთავრობა ამ გარიგებაზე არ წამოვა, ამიტომაც ალტერნატიული სამოქმედო გეგმა, ცენტრალური ხელისუფლების ჯიბრზე, თავად აქვს შემუშავებული.

საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის თბილისის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარით შეამცირეს, საკრებულო მაინც გამონახავს თანხებს, რომ თბილისელ პენსიონერებს პენსია სამი ლარით გაუზარდოს. **"აი, მერე ნახავს ხელისუფლება, რომ ამის განხორციელება მართლაც შესაძლებელი ყოფილა,"** - აცხადებს სააკაშვილი.

ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში თბილისელი პენსიონერები 2003 წლისათვის პენსიების მატებას უნდა ელოდნენ. თუმცა, ცალკე საკითხია, რამდენად არის პენსიის სამი ლარით გაზრდა შეღავათის მიმცემი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც თვეში 14 ლარს იღებენ.

საკრებულოს თავმჯდომარის უახლოეს გეგმებში დედაქალაქში არსებული უკანონო შენობების დანგრევაც შედის. სააკაშვილი ნაგავსაყრელზე გაჩერებას არ აპირებს და მალე იგი ბულდოზერებით შუა ქალაქში გადაინაცვლებს.

# ვიდრე უმრავლესობა განცხრომაშია, ოპოზიცია ქულებს აგროვებს

გიორგი ასანიშვილი

*სახელისუფლებო ფრაქციები 17 იანვარს მოპოვებული გამარჯვებით ტკბებიან. მას შემდეგ, რაც პარასკევს საკანონმდებლო ორგანომ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პირველი მოსმენით მიიღო, "თემატურ უმრავლესობაში" შემავალი დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავს უფლება მისცა (უფრო სწორედ, "ზემოდან" მისცეს უფლება), წუთშესვენება აეღო და რიგგარეშე სესიის გუშინდელი სხდომა გაეცდინა. მით უმეტეს, ამ დღეს სხდომათა დარბაზში მათთვის საინტერესო არაფერი ხდებოდა - იხილებოდა აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემატიკა და ბიუჯეტის კანონიდან გამომდინარე კანონპროექტების პაკეტი(სულ 12). ასეთი საკითხები კი მათ ნაკლებად "ეხებათ". ამ თემებზე, მათ ნაცვლად, სხვაგან - კანცელარიასა და მთავრობაში ფიქრობენ.*



*"თემატურმა უმრავლესობამ" გუშინ დასვენება ამჯობინა.*

ვიდრე სამთავრობო ფრაქციები "ნებივრობენ", ოპოზიცია "ნაყოფიერად" იყენებს მიკროფონებთან მიღებულ უპირატესობას და შემთხვევას არ უშვებს ხელიდან პროსახელისუფლებო ძალებისა და მათ მიერ მხარდაჭერილი დოკუმენტის გასაკრიტიკებლად. მიხეილ მაჭავარიანის აზრით, თავად ბიუჯეტის პროექტს კენჭი კანონდარღვევით ეყარა და აცხადებს, რომ ამასთან დაკავშირებით "გაერთიანებულ დემოკრატებს" განცხადება აქვთ შეტანილი საპროცედურო საკითხებისა და წესების კომიტეტში.

თუმცა, ოპოზიციას კარგად მოეხსენება, რომ 17 იანვარს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის ალბათობა, პრაქტიკულად, ნულის ტოლია. ამიტომ აქცენტი უფრო იმაზე კეთდება, რომ მოხდეს პარლამენტში წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის დისკრედიტაცია და შემდგომი განხილვების დროს მას, რაც შეიძლება, მეტი წინაღობა შეექმნას.

ჯერ კიდევ პირველი მოსმენით მიღებამდე, "ახალი მემარჯვენეების" წევრმა ფიქრია ჩიხრაძემ ფინანსთა მინისტრის მიერ საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილ "ნაშრომს" **"საარჩევნო ბიუჯეტი"** უწოდა და ცდილობდა, კოლეგები დაერწმუნებინა იმაში, რომ **"იგი შეუსრულებადია და სეკვესტრისთვის არის განწირული".**

**"ძალიან ბევრ პოლიტიკურ ძალას ამ ბიუჯეტში თავისი ინტერესები აქვს და ეს ინტერესები მომავალ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება. მაგალითად, ბიუჯეტის მიღებით სახელმწიფო მინისტრს სურს, დაუმტკიცოს პრეზიდენტს, რომ პარლამენტში ყველაფრის გატანა შეუძლია. მაჟორიტარების ინტერესები მათი რაიონების ტრანსფერებთან იკვეთება. მომავალ წელს კი ამ ბიუჯეტზე პასუხისმგებელს ვეღარ იპოვით, ვინაიდან ამ დარბაზში სულ სხვა ხალხი ისხდება",** - ასე დაინახეს ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური კანონის პოლიტიკური მხარე "ახალმა მემარჯვენეებმა" და ამიტომ მის განხილვაში მონაწილეობა მათ, ფაქტობრივად, არც მიუღიათ.

მათგან განსხვავებით, ბიუჯეტის კრიტიკას უფრო მიზანმიმართულად ახორციელებენ "გაერთიანებული დემოკრატები". მაგალითად, ისინი ხმამაღლა გამოთქვამენ ეჭვს იმ ფაქტის გამო, რომ ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც პარლამენტმა გასული წლის მიწურულს უარყო, ენერგეტიკული სექტორისთვის სულ ექვსი მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, განმეორებით გამოტანილ კანონპროექტში კი ეს თანხა 34 მილიონი ლარით არის გაზრდილი. ამ შემთხვევაში, "დემოკრატებს" უფრო ის გარემოება აშფოთებთ, რომ ამ სახსრების განკარგვა სახელმწიფო მინისტრის (რომელიც, ამავდროულად, "მოქკავშირის" თავმჯდომარეცაა) მეთაურობით შექმნილ სამთავრობო კომისიას ხელეწიფება.

**"ეს 40 მილიონი არის "მოქალაქეთა კავშირისთვის", მისი სატელიტი პარტიებისა და ცალკეული პიროვნებებისთვის საარჩევნოდ გამოყოფილი თანხა",** - აცხადებს გიორგი ბარამიძე, რომლისთვისაც მეტად არადამაჯერებლად ჟღერს ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლევან ჩრდილელის მტკიცება იმის შესახებ, რომ ექვსიდან ორმოც მილიონამდე თანხის გაზრდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა.

რიგგარეშე სესიის დაწყებიდან განვლილ ორ დღეში ფინანსურ-პოლიტიკური ჟღერადობის სკანდალური განცხადებები უკვე მრავლად გაისმა. თუმცა, ეს მაინც არ არის პიკი. ვნებათაღელვა თავის აპოგეას, სავარაუდოდ, ბიუჯეტის პროექტის მეორე მოსმენის დროს მიაღწევს.

# პარლამენტარები ენგურის საპროტესტო აქციის მონაწილეებს შეხვდნენ

შაბათს საქართველოს პარლამენტის ფრაქციები ენგურის ხიდზე, სოფელ რუხთან გამართული საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს შეხვდნენ და მათი მოსაზრებები უშუალოდ პირველწყაროსგან მოისმინეს.

შეხვედრას "ნაციონალების" ფრაქციის ხელმძღვანელი კოტე კემულარია და აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი გივი გამსახურდია უძღვებოდნენ. შეხვედრას ესწრებოდა დევნილი ხელისუფლების წარმომადგენელი თამაზ ნადარეიშვილი.

გამომსვლელებმა დეპუტატების წინაშე დააფიქსირეს, რომ არ აპირებენ უკან დახევას და მოითხოვენ პარლამენტის შესაბამისი დადგენილების აღსრულებას სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე. მათ ისაუბრეს მშვიდობის ძალით დამყარების აუცილებლობაზე, განაცხადეს, რომ აქციები მთელი საქართველოს მასშტაბით გაგრძელდება და ხაზი გაუსვეს, რომ ასლან აბაშიძის აქტიურობა აფხაზეთის ფრონტზე მდგომარეობის გამოსწორებას სასიკეთოდ არ ადგება.

ფრაქციების "აფხაზეთის", "ახალი აფხაზეთის", "დემოკრატების", "ნაციონალების", "ტრადიციონალისტების", "ახალი მემარჯვენეებისა" და "21-ე საუკუნის" წარმომადგენლებმა, მთლიანობაში, მხარი დაუჭირეს საპროტესტო აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს. თუმცა, "აღორძინების" წარმომადგენლებმა სხდომაზე საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსის" ინიციატივით გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად ლონდონში გაემგზავრა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ვახტანგ რჩეულიშვილი გუშინ ცხინვალში გაემგზავრა. იგი სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითთან და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტთან ალექსანდრ ძასოხოვთან შეხვედრებს გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.**. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახური კატეგორიულად უარყოფს ქართული სპეცსამსახურების ინფორმაციას აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა ყოფნის შესახებ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვში "გაუმართლებლად" მიიჩნევენ, სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის გამო თბილისმა რუსულ თვითმფრინავებს საჰაერო სივრცე გადაუკეტოს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" და მისი ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი ბლოკ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიულ ფრონტთან" თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის პეტრე ბერაიას ინფორმაციით, საერთაშორისო წითელი ჯვარი უკვე ჩაერთო მეკობრეების მიერ სომალის ნაპირებთან გამოსასყიდის მიზნით გატაცებული ბერძნული გემ "ჯენლილის" ეკიპაჟის, მათ შორის 6 ფოთელი მეზღვაურის გამოხსნის საქმეში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლება არ გამორიცხავს ქვეყანაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზებისათვის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტას სოჭი-სოხუმის მარშრუტით მატარებლის მოძრაობის აღდგენის საპასუხოდ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ინტერპოლისა და კორუფციასთან ბრძოლის დამოუკიდებელი კომისიის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც 18-27 იანვარს ჰონკონგში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე სასაუბროდ მიწვეულ დევნილთა აქციის შტაბის წევრებს დევნილთა სოციალურ პრობლემებზე ესაუბრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების საბჭო რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხს და აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ პრობლემატიკას უახლოეს დღეებში განიხილავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარეს ვიტალი ხაზარაძესა და ფრაქციის წევრებს შორის ურთიერთობა გამწვავდა, რამაც შესაძლოა პარტიაში განხეთქილება გამოიწვიოს. **ინტერ-პრესი**

# აფხაზეთი არ უნდა დავთმოთ!

პირველი გვერდიდან

პარლამენტის სესიაზე, ერთმანეთის პარალელურად, ორი ისეთი "ფეთქებადსაშიში" საკითხის განხილვა, როგორიც არის აფხაზეთი და ბიუჯეტი, ალბათ, გაუმართლებელი იყო, რადგან მათ ერთმანეთი "გადაფარეს" და ბოლომდე ვერც ერთი მივიდა, ვერც მეორე. არადა, ცაიტნოტი უკვე დადგა. იმავე ზურაბ ჟვანიას თქმით, რკინიგზის ამოქმედებითა და რუსული პასპორტების დარიგებით, დაირღვა ბოლო ათი წლის განმავლობაში აფხაზეთში არსებული სტატუს-კვო და ძირძველი ქართული მხარის მიერთების გეგმის განსახორციელებლად, მოსკოვმა საბოლოო ნაბიჯების გადადგმა გადაწყვიტა. ექს-სპიკერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული ქმედებებისთვის რუსეთმა ისეთი დრო შეარჩია, როდესაც აშშ-ს მთელი ყურადღება ერაყისკენ არის მიმართული და ამდენად, კრემლის აგრესიულ ზრახვებს ერთგვარად იდეალური გარემო შეექმნა.

ზურაბ ჟვანიას დაუშვებლად მიაჩნია, რომ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში საქართველოს პრეზიდენტი არანაირ კომენტარს არ აკეთებს და დუმილს ამჯობინებს. გარდა ამისა, "დემოკრატების" ლიდერი უკმაყოფილებას გამოსთქვამს პარტიზანული მოძრაობისთვის არასათანადო მხარდაჭერის გამო. **"ხელისუფლება სათანადოდ რომ ეხმარებოდეს პარტიზანებს, მაშინ აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე ფიქრსაც კი ვერავინ გაბედავდა,"** - აცხადებს ჟვანია.

გუშინდელი სხდომის დროს "გაერთიანებული დემოკრატების" ხელმძღვანელი საკანონმდებლო ორგანოსგან დაჟინებით ითხოვდა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან **"საკითხს ახლა თვეები და კვირეები კი არა, უკვე საათები წყვეტენ."** მისი მოსაზრების საპირისპიროდ, სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები საჭიროდ მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ ინფორმაციის მოსმენით დაკმაყოფილებულიყვნენ და რაიმე გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ ყოფილიყო მიღებული, როდესაც საპარლამენტო დელეგაცია (იგი ხვალ მიემგზავრება მოსკოვში) რუსეთის დედაქალაქიდან დაბრუნდებოდა.

საპარლამენტო განხილვაზე მიწვეული საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და ტრანსპორტის მინისტრი მერაბ ადეიშვილი, გუშინ, ფაქტობრივად, მსმენელების როლში აღმოჩნდნენ - თითქმის ცხრასაათიანი დებატების დაწყებიდან სულ ცოტა ხანში მათი არსებობა პარლამენტარებს საერთოდ დაავიწყდათ.

ხანგრძლივი დებატები "ლოგიკურად" დასრულდა - "არასაქეიფო განწყობის" მქონენი "უმცირესობაში" აღმოჩნდნენ და ღამის 2 საათისთვის კვორუმის მოგროვებას დიდი ფანტაზიის მქონენიც კი ვერ წარმოიდგენდნენ.

პარლამენტარები დათანხმდნენ ნინო ბურჯანაძის შეთავაზებას, რომ მოსკოვში მიმავალი დელეგაცია გაითვალისწინებდა "დემოკრატების" მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტში ასახულ წინადადებებს და მათ რუსულ მხარეს გააცნობდა.

ბოლოს სხდომა ფსიქოზში გადაიზარდა: გაიჟღერა მოთხოვნამ პარლამენტის შენობის დანგრევის შესახებ. საღი აზრი მხოლოდ ვასილ მაღლაფერიძესღა შემორჩა: "ვიდრე კანცელარიასა და ქალაქს გადავწვავთ, სჯობია, სხდომა დავამთავროთ".

# ზემო ლარსში ორივე გაზსადენი აფეთქდა

პირველი გვერდიდან

**მანდ მოხდა აფეთქება. ალი 200 მეტრამდე იქნებოდა. ხედავთ, კლდეზე რამხელა შავი კვალი დატოვა?"**

სარეზერვო მილი მოპირდაპირე მთაზე ყოფილა და არ ჩანდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შეხვედრის მონაწილენი ვერტმფრენთან დაბრუნდნენ და შატალოვმა პირველი კომენტარები გააკეთა.

**"1200-მილიმეტრიანი მილის დაზიანების სხვადასხვა ვერსიები არსებობს. გეოლოგები ამბობენ, რომ ეს კლდის ჩამოშლის ბრალია, თუმცა სპეცსამსახურები თავის გამოკვლევას მაინც აწარმოებენ. მათი დასკვნა ჯერ უცნობია. ასევე უცნობია, როგორ გატყდა 700-მილიმეტრიანი გაზსადენი.**

**მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენ ვთანამშრომლობთ. შევხვდით და მოვილაპარაკეთ, რომ გაზსადენს უმოკლეს ვადაში შევაკეთებთ,"** – გვითხრა შატალოვმა. მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ძნელია, ვინაიდან გაზი სომხეთსაც შეუწყდა. როგორც გაირკვა, შატალოვისთვის უმოკლესი ვადა 25 დღე ყოფილა, მაგრამ ავთანდილ ჯორბენაძის თხოვნით მიხაილ მიხაილის ძეს ეს დრო ორ კვირამდე შეუმცირებია.

700-მილიმეტრიანი სარეზერვო გაზსადენის აღდგენას უფრო ნაკლები დრო სჭირდება, მაგრამ ეს სამუშაოები ჯერ დაწყებული არ არის. ადგილი ყოფილა ძნელად მისადგომი. სათანადო სიფრთხილესაც იჩენენ, სადმე რამე ასაფეთქებელი არ ეწყოსო. ასეა თუ ისე, ოსური მხარის ვარაუდით, სარეზერვო მილის აღდგენა ერთ კვირაში უნდა მოხერხდეს.

ავთანდილ ჯორბენაძემ კოლეგას დახმარება შესთავაზა, მაგრამ ჯერჯერობით ამის აუცილებლობა არ ყოფილა. ტექნიკა და მუშახელი უკვე მობილიზებულიაო, ბრძანა შატალოვმა.

გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ფედერალური დირექტორის ირაკლი კიზირიას განცხადებით, მილსადენებში დარჩენილი გაზი დედაქალაქს ორი დღე კი ეყოფოდა, მაგრამ მილების დაცლა ბოლომდე არ შეიძლება.

გაზის ეკონომიის მიზნით, მეცხრე ენერგობლოკი უკვე გამორთეს, თუმცა მთავრობის დაპირებით მწვავე ენერგოკრიზისი არ შეიქმნება. ავთანდილ ჯორბენაძის განცხადებით, საქართველომ რუსეთიდან დამატებით იყიდა 400 მეგავატამდე ელექტროენერგია. ამრიგად, იმ "კავკასიონის" იმედზე დავრჩით, რომელიც ერთი სვანი კაცის ეზოზე გადის.

# რუსთაველებს საკუთარი მაჟორიტარი მაინც არ ჰყავთ

პირველი გვერდიდან

**პროცესზე, რომელიც უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა და რომელიც სწორედ რუსთავის არჩევნების შედეგების კანონიერებას იხილავდა".**

დაგვიანებული "მონანიების" მიუხედავად, პარლამენტში მაინც აღიარებენ, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკური შეთანხმების პროდუქტი აღმოჩნდა. მგალობლიშვილს არაოფიციალურად მხარს უჭერდნენ როგორც ლევან მამალაძე, ასევე რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ მგალობლიშვილი არგამართულ არჩევნებში გამარჯვებულად იმ დეპუტატებმაც ცნეს, რომლებიც ამ ბოლო დროს თავად იბრძვიან საარჩევნო პროცედურის გასაკეთილშობილებლად.

მათ შორის აღმოჩნდნენ ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ცხრა წევრი და "ნაციონალების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე კოტე კემულარია, რომელიც როლანდ მგალობლიშვილის დეიდაშვილია.

ამის მიუხედავად, ოფიციალური კომენტარები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ასე მაგალითად, კოტე კემულარია აცხადებს, რომ **"კენჭისყრის დროს დარბაზში არ იმყოფებოდა"** და ეჭვობს, რომ მისი პულტი **"გვერდით მჯდომმა დეპუტატმა გამოიყენა"** (სხვათა შორის, მის გვერდით "დემოკრატების" ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე ზის). ამავეს აცხადებს "დემოკრატი" მარინა მოლოდინი. რაც შეეხება პარლამენტის ვიცე-სპიკერს გიგი წერეთელს, მისი თქმით, **"მგალობლიშვილს ხმა შეცდომით მისცა და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ განაცხადა".** მით უფრო, რომ იგი **"შინაგანად არ ეთანხმებოდა მგალობლიშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობას".**

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, "დემოკრატ" ხათუნა ხოფერიას თქმით, მას არ ჰქონდა **"არანაირი იურიდიული საფუძველი, პლენარულ სხდომაზე გამოტანილი საკითხის კანონიერება ეჭვქვეშ დაეყენებინა. არავის არანაირი არგუმენტი არ მოუყვანია. არც ის იყო ცნობილი, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა".** ამავეს აცხადებს რომან კუსიანიც, რომელმაც ასევე **"არაფერი იცოდა სასამართლო პროცესის თაობაზე".**

უფრო გულახდილი აღმოჩნდა მიხეილ მაჭავარიანი, რომელმაც ამ გადაწყვეტილებას ხმა არ მისცა. **"ყველაზე რთულია პიროვნული გადაწყვეტილებების მიღება. მე, პირადად, თავი შევიკავე პოზიციის დაფიქსირებისაგან, ისევე, როგორც ბევრმა ჩემმა მეგობარმა. დანარჩენებმა კი მგალობლიშვილს მისცეს ხმა. საერთოდ, ვითარების საბოლოო გარკვევამდე ეს საკითხი ჩვენამდე არ უნდა მოსულიყო. მით უფრო, არსებობდა ეჭვები, რომ არჩევნები რუსთავში გაყალბდა და ეს საკითხი სასამართლო მსჯელობის საგანი იყო. ამიტომაც თავი შევიკავე კენჭისყრაში მონაწილეობისაგან",** - ამბობს მაჭავარიანი.

რაც შეეხება სახელისუფლებო ფრაქციებს, მათი თავგამოდება მგალობლიშვილის პარლამენტში შესაყვანად მხოლოდ ერთი მოსაზრებით გახლდათ გამოწვეული. როგორც კულუარებში საუბრობენ, ვიტალი ხაზარაძე დარწმუნებული იყო, რომ ახალი დეპუტატი ბიუჯეტის პროექტს მისცემდა ხმას. თუმცა, მისი მოლოდინი არ გამართლდა – მგლობლიშვილმა მხარი ოპოზიციონერებს დაუჭირა.

და ბოლოს: როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გუშინ მგალობლიშვილმა საკუთარი გადეპუტატება ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში აღნიშნა, სადაც დეპუტატთა მთელი კორპუსი იყო მიპატიჟებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პარლამენტართა სოლიდურმა ნაწილმა ამ მიპატიჟებაზე უარი განაცხადა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

## ჯეოსელი გთავაზობთ 24 საათიან სააბონენტო მომსახურებას?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




## ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## საახალწლო ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი.
იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

სამართალი

## მაღალჩინოსანი ოფიცერი კოლეგამ მოკლა

პირველი გვერდიდან

მოწმედ დაკითხვიდან რამდენიმე საათში გვამიც ნაპოვნი იყო და მკვლელიც – თავად კერესელიძე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად ეროვნული გვარდიის საგანგებო სპეცფონდების სამსახურის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ კერესელიძე, თავის დროზე, თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის დაცვის უფროსი იყო. მან დანაშაული მხოლოდ მას შემდეგ აღიარა, რაც იგი ეჭვმიტანილად სცნეს. მანამდე იგი სამართალდამცველებს არწმუნებდა, ტაბალუას დაკარგვასთან არავითარი კავშირი არ მაქვსო. კერესელიძის გულწრფელობას გამოძიება საკუთარი ტაქტიკით ხსნის.

გუშინვე, სახელდახელოდ ჩატარებულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა და დედაქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობამ არც მკვლელობის კონკრეტული მოტივები დაასახელეს და არც გარემოებები. ზოგიერთი რამის ართქმის მიზეზად გამოძიების ინტერესები დაასახელეს, ზოგის გამოაშკარავება კი კვლავ გამოძიებას მიანდეს. ერთადერთი, რაც ამ ბრიფინგზე გაირკვა, ის გახლავთ, რომ კერესელიძესა და ტაბალუას ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ. ამას გარდა, თავად კერესელიძეს უთქვამს: მკვლელობის მიზეზი ფინანსური საკითხის გამო წამოჭრილი დავა იყო, ტაბალუა 10 იანვარსვე მოვკალი, მკვლელობა თბილისში მოხდა, შემდეგ გვამი გადავიტანე და დავფალიო.

ლევან ტაბალუას გვამს, პირველადი დათვალიერებით, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული სამი ჭრილობა აღმოაჩნდა. მას ორი ტყვია გულ-მკერდის არეში, ერთიც – თავში აქვს მოხვედრილი. მკვლელობის იარაღის, გვამის გადამტანი მანქანისა და სხვა დეტალების დადგენა პოლიციის მაღალჩინოსნებმა გამოძიებას მიანდეს. საქმის გამოძიებას კი გენერალური პროკურატურის საგამოძიებო აპარატი გააგრძელებს. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობად გადაკვალიფიცირდა. სწორედ განზრახ მკვლელობაში წაუყენეს გუშინ ბრალი მიხეილ კერესელიძეს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გამოძიება მუშაობს ვერსიაზე, რომლის თანახმადაც ლევან ტაბალუას რამდენიმე ბიზნესი ჰქონდა წამოწყებული, კერესელიძე კი საკმაოდ დიდი თანხებით მონაწილეობდა ამ კომერციულ წამოწყებებში, შესაბამისად, მოგებიდან წილს იღებდა. ბოლო ხანებში, საქმე, რომელშიც კერესელიძეს 50 ათასი დოლარი ჰქონდა ჩადებული, ჩავარდა. როგორც ბრალდებული ამბობს, ის ტაბალუას თავის ფულს სთხოვდა. 10 იანვარსაც სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ შეხვდნენ ერთმანეთს. მანქანაში წამოწყებული დავა სერიოზულ ჩხუბში გადაზრდილა. მოჩხუბრები მანქანიდან გადმოსულან და ხელჩართული ჩხუბი გაუმართავთ, რა დროსაც კერესელიძეს მანქანიდან იარაღის აღება მოუსწრია და ტაბალუასთვის რამდენჯერმე უსვრია, ადგილზევე გარდაცვლილის გვამი კი ქალაქგარეთ დაუმარხავს. გამოძიება, ფაქტობრივად, გამორიცხავს მკვლელობაში სხვა პირების მონაწილეობას. ცხადია, სამართალდამცველები გამორიცხავენ გავრცელებულ ჭორსაც იმის თაობაზე, თითქოს კერესელიძე სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულს იბრალებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ კერესელიძე 10 იანვრის შემდეგ ჩვეულებრივ დადიოდა სამსახურში და დაკითხვაზეც თავადვე მივიდა. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მისი მოწმედ დაკითხვა ადვოკატის გარეშე მოხდა, ეჭვმიტანილის სტატუსით ჩვენების მიცემას კი სახაზინო ადვოკატი ესწრებოდა, რადგან მიხეილ კერესელიძის ადვოკატს შესაბამისი რწმუნება არ აღმოაჩნდა.

## პოლიციას მოქალაქეების დაშინებასა და ფულის გამოძალვაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

გასაცნობად დაიბარეს. ნარკოლოგიური დისპანსერის დასკვნა კი პოლიციისთვის სასურველი აღმოჩნდა, ანუ ზვიადაურს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება დაუმტკიცდა. ასაკაშვილის ინფორმაციით, პოლიციას ზვიადაურისთვის შეუთავაზებია - 200 დოლარი მოგვიტანე და მხოლოდ ჯარიმას გადაგახდევინებთ, არ დაგაკავებთო,

მაგრამ ზვიადაურმა, პოლიციასთან გარიგებას, არასამთავრობო ორგანიზაციაში მისვლა არჩია. **“საქმეში ჩართვისთანავე, ნარკოლოგიურ ინსტიტუტში, დამოუკიდებელი ექსპერტის მაია ნიკოლაიშვილის მონაწილეობით, ზვიადაურს ხელახალი შემოწმება ჩავუტარეთ. ხელახალი დასკვნის თანახმად, ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფს სისხლში არანაირი ნაროტიკული ნივთიერება არ აღმოაჩნდა,”** – აღნიშნა ასაკაშვილმა. თუმცა, ვიდრე პოლიციაში ახალ დასკვნას მიიტანდნენ, გამომძიებელმა ზვიადაური ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაში ეჭვმიტანილად ცნო და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღძრა. **“ჩვენს მიერ მიტანილი დასკვნის შემდეგ, კანონით, სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ორი თვე გავიდა, საქმის შეწყვეტას არავინ აპირებს,”** – ამბობს ასაკაშვილი.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა სააშკარაოზე ზაალ მიქაბაძის ისტორიაც გამოიტანა.

ერთი წლის წინ ზაალ მიქაბაძემ შვილი - ირაკლი მიქაბაძე 181-ე სკოლაში გადაიყვანა. წარჩინებული მოსწავლე, თურმე, სახლში ყოველდღე ნაცემი მიდიოდა. ირაკლის დედა სკოლაში დამრიგებელთან - ციალა კაციაშვილთანაც მისულა, მაგრამ მასწავლებელს შეწუხებული მშობელი “დაუწყნარებია” – ამ სკოლაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ახლად გადმოსულ მოსწავლეებს ბიჭები სცემენ.

აღშფოთებული მამა შვილის პრობლემების მოსაგვარებლად სკოლაში წასულა და კლასის დამრიგებელს დირექტორის კაბინეტში შეხვედრია. დამრიგებელს განუმარტავს – მიქაბაძე გაკვეთილებზე ბევრს ლაპარაკობს და ბავშვები ამის გამო სცემენო. მასწავლებლის ამგვარ თავისმართლებას ზაალ მიქაბაძე კიდევ უფრო აღუშფოთებია, რის გამოც მშობელსა და პედაგოგს შორის ხმამაღალი საუბარი შემდგარა.

შეხვედრიდან ხუთ დღეში ირაკლი მიქაბაძეს აცნობეს, რომ მის მიმართ, ხულიგნობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ადვოკატის მტკიცებით, რამდენიმე დღის შემდეგ ციალა კაციაშვილს გახსენებია, რომ მოსწავლის მშობელმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მოკვლით დაემუქრა, ამიტომ იგი სამართლის საძებნელად პოლიციაში მისულა. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილი კატეგორიულად უარყოფდა, დირექტორის კაბინეტში არც არავინ მიცემია და მოკვლითაც არავის დავმუქრებივარო, გამოძიებამ ხულიგნობაში ბრალი მაინც დასდო და სასამართლო ბრძანებით, სამი თვით წინასწარი პატიმრობაც შეუფარდა. ხუთდღიანი პატიმრობის შემდეგ, საოლქო სასამართლომ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და მიქაბაძე გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა. **“კაციაშვილის მეუღლე მაღალჩინოსანი პოლიციელია და საგამოძიებო დეპარტამენტში ამიტომ ცდილობენ ამ ქალბატონის კაპრიზების დაკმაყოფილებას. სხვათა შორის, ვიღაცის გულის მოსაგებად მუხლიც ხელოვნურად არის დამძიმებული. დაზარალებული პედაგოგი ხელისუფლების წარმომადგენელთან გახლავთ გათანაბრებული, რის გამოც მიქაბაძეს ხუთწლიანი პატიმრობას ემუქრება,”** – ამბობს ადვოკატი.




უცხოეთი

## ავსტრალიის დედაქალაქი ცეცხლის ალყაშია

გუშინ ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს. ამის მიზეზად ტყეში გაჩენილი უძლიერესი ხანძარი იქცა, რომელიც, უკვე კვირაზე მეტია, კანბერას ნაციონალურ პარკში მძვინვარებს. პარკი კანბერას დასავლეთით მდებარეობს. ხანძარი გუშინ უკვე ქალაქის საცხოვრებელ რაიონებსაც მისწვდა. ავსტრალიის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ქალაქის სამხრეთ რაიონში – დაფიში, ცეცხლმა მთლიანად მოიცვა საცხოვრებელი კვარტალი. დაფიდან და ასევე სხვა რაიონებიდან ხელისუფლებამ მოსახლეობის სასწრაფო ევაკუაციის ბრძანება გასცა. კანბერასთან დამაკავშირებელი ყველა ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტილია და ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილია. დედაქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ჯონ სტეჰოლმა გუშინ ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და სტიქიასთან ბრძოლა პოლიციის შეფს ჰონ მარეის დაავალა. ამჟამად ცეცხლის ჩაქრობას ასობით მეხანძრე და სამხედრო მოსამსახურე ცდილობს. ხანძარი რამდენიმე ათას ჰექტარზეა მოდებული. ჯერჯერობით, ძლიერი ქარისა და 40-გრადუსიანი სიცხის გამო მისი ჩაქრობა ვერ ხერხდება.



კანბერაში ხანძარი მძვინვარებს.

## გუშინ იაპონიის იმპერატორს ოპერაცია გაუკეთეს

იაპონიის იმპერატორს გუშინ ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, რომელიც ექვს საათს გაგრძელდა. 69 წლის იაპონელი მონარქის გაკვეთის მიზეზად პროსტატის კიბო იქცა. მას ეს დიაგნოზი ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრის ბოლოს დაუდგინეს. ექიმები იმედოვნებენ, რომ იმპერატორ აკიჰიტოს სრული გამოჯანმრთელებისათვის კარგი შანსები აქვს, რადგან ავადმყოფობა მას ადრეულ სტადიაში აღმოუჩინეს და ორგანიზმში კიბოს მეტასტაზები ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული.

მსოფლიოში დღემდე არსებული უძველესი მონარქიის იმპერატორის აკიჰიტოს ჰოსპიტალიზაცია გასულ ხუთშაბათს მოხდა, მას შემდეგ რაც, იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა იმპერატორის კონსტიტუციური უფლებამოსილება მის უფროს ვაჟს - 42 წლის პრინც ნარუჰიტოს გადასცა.

იმპერატორს ოპერაცია ტოკიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საავადმყოფოში ეროვნული ონკოლოგიური ცენტრის შვიდმა წამყვანმა სპეციალისტმა გაუკეთა.

იაპონიის ისტორიაში ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც მონარქს ოპერაცია იმპერატორის სასახლის გარეთ გაუკეთდა. ვარაუდობენ, რომ იმპერატორი აკიჰიტო საავადმყოფოში ერთ თვეს დაჰყოფს, რის შემდეგაც რეაბილიტაციას ტოკიოს ცენტრში მდებარე თავის სასახლეში გაივლის.



REUTERS

იმპერატორი აკიჰიტო ოპერაციის წინ.

## „ბი-ბი-სი„ „ალ ჯაზირასთან„ ითანამშრომლებს

ბრიტანეთის უმსხვილესმა ტელერადიო კორპორაცია “ბი-ბი-სი”-მ ყატარის სკანდალურ ტელეკომპანია “ალ ჯაზირასთან” ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა. როგორც ცნობილია, “ალ ჯაზირა” თავის ეთერში “ალ ქაიდას” მასალების გაშვებით საკმაოდ სკანდალურ ტელეკომპანიად იქცა.

“ბი-ბი-სი”-სთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ყატარის ტელეკომპანია ვალდებულებას იღებს, ბრიტანელ კოლეგებს დროულად გადაუგზავნოს ინფორმაციები ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ყველაზე ცხელი ამბებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. “ბი-ბი-სი”-ს ასევე შეეძლება ავღანეთის დედაქალაქში “ალ ჯაზირას” ტრანსლატორის გამოყენება. სანაცვლოდ არაბული ტელეკომპანია ეთერში “ბი-ბი-სი”-ს დოკუმენტურ ფილმებს გაუშვებს. გარდა ამისა, ინგლისელი კოლეგები მათ ინგლისურენოვანი ინტერნეტ-საიტის შექმნაში დაეხმარებიან.

**“მათთან ერთობლივი მუშაობით, ჩვენ შევძლებთ, ჩვენს მაყურებელს, დიდ ბრიტანეთსა და მთელ მსოფლიოში, კიდევ უფრო მეტად ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ,”** - განაცხადა “ბი-ბი-სი”-ს ინფორმაციის შეგროვების განყოფილების შეფმა ადრიან ვან კლავერენმა.

ტელეკომპანია “ალ ჯაზირას” სტუდია განთავსებულია ყატარში, ახლო აღმოსავლეთში ყველაზე მსხვილი ამერიკული ბაზის – “ალ უდეიდის” მახლობლად. დღეს “ალ ჯაზირა” უკვე საკმაოდ საგრძნობ კონკურენციას უწევს მსოფლიოს ახალი ამბების წამყვან სააგენტოებს, მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანიის ყურადღების ძირითადი ნაწილი არაბულ სამყაროში მომხდარი მოვლენების გაშუქებას ეთმობა.

**“ჩვენ, მოვლენების გაშუქების დროს, ავსახავთ არაბულ და მუსულმანურ ხედვას, როგორც “ეი-ბი-სი,” “ბი-ბი-სი” და “სი-ენ-ენ”-ი ასახავენ დასავლურ ხედვას. მაგალითად, ბალიზე მომხდარი ტერაქტის შემდეგ ეს სააგენტოები აქცენტს აკეთებდნენ დასავლეთის მოქალაქეებს შორის დაღუპულთა რაოდენობაზე, იმ დროს, როცა სხვა ქვეყნების უამრავი მოქალაქეც დაიღუპა. ასევე, ჩვენ ვიუწყებოდით ავღანეთში ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის თაობაზე და ერაყში ემბარგოს შემოღების სავალალო შედეგებზე,”** - განაცხადა “ალ ჯაზირას” ვაშინგტონის ბიუროს ხელმძღვანელმა ჰაფაზ ალ მირაზიმ.

## ტერაქტი კოლუმბიაში

კოლუმბიის ქალაქ მედელინში ძლიერი აფეთქება მოხდა, რასაც 5 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო 32 მძიმედ დაშავდა. კოლუმბიის ხელისუფლებამ მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულ ორგანიზაციას – “კოლუმბიის რევოლუციურ არმიას” დააკისრა. უკვე 38 წელია, რაც აღნიშნული დაჯგუფება კოლუმბიის ხელისუფლების წინააღმდეგ ტერორისტულ ომს აწარმოებს.

ამჯერად ბომბი ქალაქ მედელინის ერთ-ერთი სუპერმარკეტის ავტოსადგომზე აფეთქდა. ამ ავტოსადგომით ქალაქის პროკურატურის თანამშრომლები სარგებლობდნენ. როგორც ცნობილი გახდა, დაღუპულთა შორის სამი წლის ბიჭიც არის. ზოგიერთი დაჭრილის მდგომარეობა კრიტიკულია. პოლიციამ უკვე დააკავა პიროვნება, რომელმაც, თვითმხილველთა თქმით, ავტოსადგომზე დანაღმული ავტომანქანა დააყენა. ის საპარიკმახეროში დააკავეს, სადაც თმებს სხვა ფერად იღებავდა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ეს ტერაქტი “კოლუმბიის რევოლუციური არმიის” პასუხს წარმოადგენდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ამ ბოლო დროს ჩატარებულ სპეცოპერაციებზე, რის შედეგადაც აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის 70 წევრი დააკავეს.

კოლუმბიის ხელისუფლება დათმობებზე არ მიდის. ქვეყნის ახალ პრეზიდენტს ალვარო ურიბეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ტერორისტებისა და მათთან დაკავშირებული ნარკობარონების დამარცხება. მან ჯილდოდ 170 ათასი ამერიკული დოლარი დააწესა იმისთვის, ვინც გუშინ მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორების შესახებ ხელისუფლებას ინფორმაციას მიაწვდის.

პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ თავისი მმართველობა თავდაცვის ხარჯების გაზრდითა და სამართალდამცავი სისტემის რეფორმით დაიწყო. მის მთავარ მიზანს კოლუმბიაში წესრიგის დამყარება, კრიმინალური ნარკოკარტელებისა და ტერორისტული დაჯგუფებების საქმიანობის აღკვეთა წარმოადგენს. ალვარო ურიბე თავისი მიზნების მისაღწევად მჭიდროდ თანამშრომლობს შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან.

## სერგეი ივანოვის იმედი ბირთვული იარაღია

ლევან ღირსიაშვილი

**“სამხედრო აღმშენებლობის მთავარ მიმართულებად ბირთვული ძალების მაღალ დონეზე შენარჩუნება უნდა იქცეს, რომელიც ჩვენსა და ჩვენი მოკავშირეების წინააღმდეგ აგრესიის შეკავების გარანტს წარმოადგენს,”** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა რუსეთის სამხედრო მეცნიერებათა აკადემიაში გამოსვლისას. მან ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად სამხედრო განათლების რეფორმირებაც დაასახელა.

გარდა ამისა, სერგეი ივანოვს არც ტერორიზმთან ბრძოლა გამორჩენია, რაშიც მან შეიარაღებული ძალების განსაკუთრებულ როლზე მიანიშნა. **“2001 წლის 11 სექტემბრისა და გასული წლის ოქტომბერში მოსკოვში ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ყველასათვის საბოლოდ გახდა ნათელი, რომ “ცივი ომი” აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათის ომით შეიცვალა. საერთაშორისო ტერორიზმთან გასამკლავებლად შეიარაღებული ძალების გამოყენება ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს,”** - განაცხადა სერგეი ივანოვმა.

მან ასევე თქვა, რომ რუსეთის წინააღმდეგ, უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს ომი. **“არც ერთ სახელმწიფოს ჩვენთვის ეს ომი არ გამოუცხადებია. არსებობს ხალხი, ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ამ მტრული ქმედებების განხორციელებაში მონაწილეობენ. ეს არის ახალი ტიპის ომი, პირველ რიგში, ინფორმაციული ხასიათისა. პირველი ჩეჩნური კამპანია – ეს იყო საინფორმაციო სფეროში სრული უმწეობის კვინტესენცია, როდესაც შეიარაღებული ძალები ბოლომდე ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს და სანაცვლოდ ალიყურს იღებდნენ,”** - დაასკვნა რუსეთის სამხედრო უწყების შეფმა. თუ რა კავშირია რუსეთის ბირთვულ იარაღსა და ჩეჩნეთში სამხედრო კამპანიას შორის, სერგეი ივანოვს არ დაუკონკრეტებია.

# ორი დიზაინერი, ორი სტილი ომის რაკურსში

თეონა ჯაფარიძე

თბილისური პუბლიკა, რომელიც აქამდე ცალ-ცალკე კარგად იცნობდა მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის შემოქმედებას, გუშინ პირველად გახდა ინტერიერისა და მოდის დიზაინის თავისთავადი სტილის ერთმანეთთან შერწყმის მოწმე.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა ამ ორი ხელოვანის შემოქმედება საკმაოდ ვრცელი შოუთი წარმოადგინა: ცენტრის დარბაზებში წარმოდგენილ გუგას მეტალის ბეჭდურ ავეჯსა და ინტერიერის აქსესუარებს, სააგენტო "ნატალის" მოდელები აცოცხლებდნენ მაკა ასათიანის "პანკისური ჩვენების" კოსტიუმებით. პერფორმანსს თან პანტომიმის მსახიობთა პლასტიური იმპროვიზაცია ახლდა, რაც ცოტა ხანში ცოცხალმა ჯაზმა და მაია კანკავას ვოკალმა შეცვალა. ამგვარ გადატვირთულ პროგრამას გამოფენის იდეის ავტორები ნინო ყურაშვილი


მაკას კაბა გუგას ავეჯის ფონზე

და თეა გოცირიძე (ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი), იმით ხსნიან, რომ "საზოგადოება გაააქტიურონ საგამოფენო ხელოვნების ესთეტიური ღირებულებისადმი".

შოუს თან ერთვოდა მაკა ასათიანის "პანკისური ჩვენების" ამსახველი დოკუმენტური ფილმი და ამ ფილმისათვის შექმნილი ნიკა მემანიშვილის ელექტრონული მუსიკა პანკისურ-კავკასიური მოტივებით. თავად მაკას სტილისათვის დამახასიათებელ მკვეთრ კაშკაშა ფერებში ამჯერად შავი ჭარბობდა და მოდელები ცნობილი "ნორდ ოსტის" მოვლენების მთავარ პერსონაჟებს მოგვაგონებდნენ.

გუგა კოტეტიშვილის ეკლექტური სტილი: - ტყავისა და ცივი ლითონის მასალა კი პანკისამდე კარგა ხნით ადრე, ჯერ კიდევ "თბილისის ომის" შემდეგ დასავლელმა ხელოვნებათმცოდნეებმა შეაფასეს, როგორც "ომის ნარჩენებისაგან შექმნილი ხელოვნება". ასე, რომ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის საგამოფენო დარბაზებში ორი დიზაინერის შეხვედრამ საკმაოდ მკაცრი და პაციფისტური შთაბეჭდილება დატოვა. თავად ავტორები გამოფენას არ დასწრებიან. როგორც შევიტყვე, გუგა კოტეტიშვილმა ხალხმრავალ საგამოფენო დარბაზს აბასთუმანში მზის ამოსვლის ფოტოფირზე დაფიქსირება ამჯობინა.

# დანაშაული და მფრინავი სტილი

## ჰიპ-ჰოპი ქართულად


crime


Flying Style

ვერა ნეფარიძე

*"რა ვერ გავიგე, იცი? რატომ უნდა ვიმღეროთ მაინაცადამაინც წვიმაზე, ან თოვლზე, უიღბლო სიყვარულზე, უმანკო ბოზებზე? ვერ გავიგე რა..."*

(ნაწყვეტი ქართული რეპ-ლირიკიდან)

ვინ ვერ შეამჩნევდა, რომ საქართველოში რეპის შემსრულებელთა ახალი ტალღა წამოვიდა. ამაზე მეტყველებს ბოლო დროს მომრავლებული ახალ-ახალი ვიდეოკლიპები სხვადასხვა რეპერთა ბოი-ბენდების შესრულებით. ერთადერთ ქართულ მუსიკალურ ტელეარხზე თითქმის ყოველ ორ კვირაში ერთხელ ჩნდება ქართველ რეპერთა ახალი ნამუშევრები. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ რეპის ტრადიციები და სიმართლე თქვან ცხოვრებაზე, თვით ქართულ შოუ-ბიზნესზეც კი. როგორია სიმართლე მათ შესახებ?

Crime - რეჩიტატივი რელიგიური მოწოდებებით

თუ გავითვალისწინებთ რეპ-მუსიკის წარმომავლობას, რომელიც ძირითადად რიტმ-ენდ-ბლუზიდან განვითარდა, ეს უკანასკნელი კი შავკანიან ამერიკელთა რელიგიური რიტუალებიდან იღებს სათავეს, მაშინ ალბათ არ უნდა გაგვიკვირდეს რეპ-სიმღერების რელიგიური ტექსტებით დატვირთვა. მაგრამ, როდესაც ქართული რეპი (ალბათ, უკეთესი შესატყვისია ქართულენოვანი რეპი) ქრისტიანული მორალის აპოლოგეტია, სხვისი არ ვიცი, მე პირადად მთლად ნორმალურად ვერ აღვიქვამ. მითუმეტეს, როდესაც ერთმანეთის გვერდით ურთიერთშეუსაბამო ტექსტია.

ამ თემით ერთ-ერთ ქართულ რეპდუეტზე საუბარი შემთხვევით არ დამიწყია. Crime-მა თავის სადებიუტო კლიპში "შენ დარეკავ ზარს", სწორედ თავისი ტექსტით ("შენ დარეკავ ზარს და დაიწყებ ლოცვას, მუდამ გწამდეს ღმერთის და ნუ ჩაიდენ ცოდვას") მიიქცია ქართველ მსმენელთა ყურადღება. სიმღერამ იმდენად დააინტერესა მსმენელი, რომ ერთ-ერთ გაზეთში გაჩნდა კიდეც მოსაზრება, თითქოს ქართული რეპი, ევროპულისგან განსხვავებით, კეთილშობილურია. გავრცელებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, საკუთარი გულისწყრომა ჩვენთან საუბარში არ დაუმალავთ მუსიკოსებს. "ეს არის დიდი შეცდომა და ტყუილი, თითქოს ჩვენი რეპი კეთილშობილური იყოს. ეს ასე არ არის", - მითხრა დუეტ Crime-ის ერთ-ერთმა წევრმა Lazy-მ და ალბათ ასეც არის, რადგან ეთერში გამოჩენილი დუეტის მეორე სიმღერა შინაარსით უფრო მეტად ახლოს დგას ამერიკულ რეპთან. თავიანთ პროტესტს მუსიკოსები ასე ამართლებენ: "ჩვენი ლირიკა კი მხოლოდ ის არის, რისი უარყოფაც დღეს შეუძლებელია".

Crime, ისევე როგორც ქართული რეპ-ჯგუფები, არამარტო ტექსტების შინაარსით ბაძავენ მათ დასავლელ კერპებს. ისინი ცდილობენ იცხოვრონ ისევე, როგორც ეს დასავლეთშია მიღებული: მოაწყონ "ტუსოვკები" (კლუბი "პონტო", რომელიც მეტრო დელისთან მდებარეობს, მათი ერთ-ერთი ასეთი თავშესაფარია), შეეჯიბრონ ბრეიქ დანსში ან, უბრალოდ, გაერთონ. თუმცა, არ ავიწყდებათ, რომ რეპერთა მთავარი დანიშნულება სიმართლის თქმაა. ძნელია არ დაეთანხმო Crime-ს, როდესაც მღერის: "ბნელა,

ქართულ შოუ ბიზნესს ჭირდება შველა,

აღარ არის განსხვავება პოპს მღერის სუყველა,

თან ახალს რომ ველარ ქმნიან, მაინც უნდათ მღერა,

და ვინმე თუ რამეს შექმნის იმეორებს ყველა!"

"იცოდეთ, ცხოვრებაში არ ვაპირებთ მარცხს,

Flying Style-ი ცეკვავს სუპერ ბრეიქ-დანსს"

ეს Flying Style-ია. ჯგუფი წელიწადნახევრის წინათ შეიქმნა, მაგრამ ქართველმა მსმენელმა ახლახანს, მუსიკალურ ეთერში დატრიალებული მათი პირველი ვიდეოკლიპ Electric-ით გაიცნო. თუმცა, ჯგუფის განსაკუთრებულობა მათსავე მეორე კლიპში გამოჩნდა, სადაც Flying Style-მა მათი მუშაობის ძირითად მიმართულებას, ბრეიქ-დანსს გაუსვა ხაზი.

"აქ ბევრმა დი-ჯეიმ ან რეპერმაც არ იცის, რომ რასაც აკეთებს, ჰიპ-ჰოპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია", - მეუბნება ჯი ზი, ჯგუფის ერთ-ერთი წამყვანი წევრი და მიხსნის, რომ ჰიპ-ჰოპი მთელი კულტურაა თავისი ოთხი (რეპი, ბრეიქ დანსი, გრაფიტი, ანუ კედლების მოხატვა და სკლეჩი, იგივე დი-ჯეის ხელოვნება) ძირითადი მიმართულებით.

ჯგუფი მიზანდასახულად შემოიჭრა ქართულ შოუ-ბიზნესში - ისინი საქართველოში ბრეიქ დანსის დამკვიდრებაზე საკმაოდ სერიოზულად მუშაობენ. საამისოდ მათ გახსნეს კიდეც სკოლა (თავად ასე უწოდებენ), სადაც მოცეკვავეთა რამდენიმე ჯგუფს, მათ შორის, გოგონებსაც, ამეცადინებენ.

Flying Style არ მალავს, რომ მათზე ადრე იგივე მიზნისთვის მუშაობა "ძებნილმა" დაიწყო, თუმცა ბიჭები მიიჩნევენ, რომ ამ საქმეში ამჟამად პირველები არიან და ასეც იქნება გარკვეული ხნის განმავლობაში. "გადავწყვიტეთ, ვყოფილიყავით რეალურად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელიც ქართულ შოუ-ბიზნესში შოუს თვალსაზრისით რაღაც ახალს შემოიტანდა. ამ ეტაპზე ესაა ბრეიქ-დანსი, რაშიც, მგონი, რაღაცას მივაღწიეთ. მოგვიანებით ჰიპ-ჰოპის სხვა მიმართულებებსაც შევეხებით", - მეუბნება ჯი ზი. მიღწევაში ჯი ზი ალბათ ორ ვიდეოკლიპსა და Flying Style-ის დაარსებულ ცეკვის სკოლას გულისხმობს, თორემ მთავარი მიზანი, საკუთარი შესაძლებლობების საერთაშორისო მასშტაბებით დამტკიცება, ჯერ ისევ ოცნებად რჩება. "ერთ დროს არც კი გვეგონა, თუ აქამდე მოვიდოდით. ახლა ეჭვი არ გვეპარება, უცხოეთშიც გავალთ და იქაც ვაჩვენებთ ჩვენს ხელოვნებას", - დარწმუნებულია ჯგუფის დიჯეი კასპერი.

თავად მუსიკოსებმა ეს ხელოვნება ზოგიერთმა თავისით, ტელეეკრანზე ნანახის მიხედვით, ზოგიერთმა კი საზღვარგარეთ (რუსეთსა და თურქეთში) ისწავლეს. "თავიდან შეიძლება დასაწყისისთვის ბრეიქ-დანსისთვის აუცილებელი პირველი ილეთები ისწავლო, მაგრამ შემდეგ შენით უნდა განვითარდე და შენი საკუთარი ნომრები შეიტანო. ასლები არ უნდა აკეთო და უნდა იყო ორიგინალური. ესაა ნამდვილი ბრეიქ-დანსი. ამიტომ არ ძველდება ის. ძალიან განსხვავდება 20 წლის წინანდელი და ახლანდელი ბრეიქ-დანსი", - მიხსნის ჯი ზი და ამაყად მეუბნება, რომ ამ მხრივ, Flying Style-მაც შეიტანა თავისი წვლილი ამ ცეკვის განვითარებაში.

"თუ გინდათ ჩვენი მოგება, ნუ გექნებათ იმედი,

დღეს ჩვენი ბრეიქ-დანსი ქალაქშია პირველი",

ჩვენთან Flying Style-ს პირველობას ცეკვაში მართლაც არავინ ედავება. როგორ მეტოქეობას გაუწევენ ისინი დასავლელ პროფესიონალებს, ეს გარკვეულწილად ჯგუფის მომავალი სპონსორების მონდომებაზეა დამოკიდებული. თავად ქართველი მოცეკვავეები საამისოდ მზად არიან.

## კითხვარი

# კულტურა ყოველთვის ოპოზიციაშია სახელმწიფოსთან

ავთანდილ ვარსიმაშვილი
რეჟისორი

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

**1.** კულტურის აქტივობა დამოკიდებულია საზოგადოების მოთხოვნილებაზე. კულტურა საზოგადოების ის ბარომეტრია, რომელიც ძალიან ზუსტად განსაზღვრავს და ასახავს იმას,


ავთანდილ ვარსიმაშვილი

თუ რა სჭირდება დღეს საზოგადოებას და რა - არა. სახელმწიფო და საზოგადოება ყველა დროში იყო, არის და იქნება ერთმანეთს დაპირისპირებული ორი ბანაკი, ამიტომ კულტურა, როგორც საზოგადოების გვერდში მდგომი ძლიერი ძალა, ყოველთვის ოპოზიციაშია სახელმწიფოსთან. ამას ძალიან კარგად გრძნობს სახელმწიფო და სხვადასხვა ხერხებით ცდილობს კულტურის მოთვინიერებას, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაკარგავს თავის სახეს. ეს განუწყვეტელი ორთაბრძოლა, უფრო აქტიურს ხდის კულტურას და ის უფრო ღიად და აშკარად გამოხატავს საზოგადოების განწყობას სახელმწიფოსთან მიმართებაში.

**2.** ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველო პოლიტიკურად პოლარიზებულ ქვეყნად ჩამოყალიბდა და ამიტომ კულტურაც შესაბამისად პოლიტიზირებულია, ასეთი დოზით, ქართული კულტურა არასოდეს არ ყოფილა პოლიტიზირებული. ქვეყანაში დეკლარირებულმა სიტყვის თავისუფლებამ, რეალური ასახვა კულტურაში ნახა, და თუკი ადრე პოლიტიკა კულტურაში შენიღბვითი სახით აისახებოდა, ახლა პირდაპირობის ისეთი დიდი დოზით გვხვდება, რომ ხშირად კულტურის საზღვრებსაც კი სცილდება და უხეშ პლაკატურობამდეც კი დადის ხოლმე.

ნებისმიერი ნამდვილი კულტურული მოვლენა, იმავდროულად სოციალური მოვლენაცაა. სწორედ ამიტომ მგონია, რომ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა საქართველოში, დამოუკიდებელი პრესის, ტელეკომპანიებისა და თეატრების წარმოშობაა. ახალი გაზეთების, "რუსთავი-2"-ის, "თეატრალური სარდაფის" და "თავისუფალი თეატრის" არსებობამ, თვისობრივად შეცვალა პრესისადმი, ტელევიზიებისადმი და თეატრებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება.

**3.** ვცდილობ, არ გამოვტოვო არცერთი მეტნაკლებად სერიოზული გამოფენა, სპექტაკლი, თუ ფილმი. კითხვით, ამჟამად თეოლოგიურ ლიტერატურას ვკითხულობ, კონცერტებიდან გამოვყოფდი ვახტანგ კახიძის ორკვირიან არაჩვეულებრივ კონცერტს და ბორის გრებენშჩიკოვის მუსიკალურ აღსარებას, ხოლო დრამატული სპექტაკლებიდან რობერტ სტურუას სულისშემძვრელ სპექტაკლს "გოდოს მოლოდინში".

# ციტირებები კულტურული ტექსტიდან

## ეროვნული გალერეა თანამედროვე მხატვრებს მასპინძლობს

ნანა ბასილაშვილი

გუშინ, ეროვნულ გალერეაში, ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ვერნისაჟს ორგანიზატორობა კულტურის სამინისტრომ და მხატვართა კავშირმა გაუწიეს. თუმცა ინიციატორებად თავად გამოფენაში მონაწილე მხატვრები გვევლინებიან. გალერეაში წარმოდგენილი 11 ახალგაზრდა მხატვარი, ყველა ერთი თაობის, სამხატვრო აკადემიის 1996 წლის კურსდამთავრებულია.

"ჩვენ დღემდე ვმეგობრობთ და უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც ერთობლივი გამოფენის გაკეთებას ვგეგმავთ. აი, დღეს როგორც იქნა შევიკრიბეთ და საგანგებოდ შერჩეული ნამუშევრები გამოვფინეთ. რასაკვირველია, ძალიან გვაინტერესებს დამთვალიერებელთა აზრი და შეფასება", - მითხრა გამოფენის ერთ-ერთმა მონაწილემ მაია კიკაბიძემ.

დამთვალიერებელი და შემფასებელი კი ახალგაზრდა მხატვრებს მართლაც ბევრი ჰყავდათ. ორი საათისათვის (ამ დროს გამოფენა ოფიციალურად უნდა გახსნილიყო) ცისფერი გელერეის ორივე საგამოფენო დარბაზში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. გოგა ჯაფარიძის, ზურა აფხაზაშვილის, ნინო ჩაკვეტაძის, კოტე ჯაფარიძისა და სხვათა ნამუშევრები უმეტესად 2002 წლით თარიღდება. იმის მიუხედავად, რომ თერთმეტივე მხატვარი ერთი თაობისა და ერთი სკოლის წარმომადგენელია, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხედვითა და ხელწერით გამოირჩევა.

"ციტირებები კულტურული ტექსტიდან – ასე შეიძლება დავასათაუროთ დღევანდელი ვერნისაჟი. ის, რომ თანამედროვე მხატვარი არ შეიძლება შეიზღუდოს ფორმალურ-სტილური მეთოდით, აქ სწორედ ეს მტკიცდება. ამ ტიპის გამოფენა კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, თუ რა ძლიერი ტალღა წამოვიდა ამ ათი წლის წინათ აკადემიიდან. დღეს წარმოდგენილი მხატვრული აზროვნების შედეგად მიღებული ნამუშევრები, ერთგვარად კონსერვატორული, რელიგიურ-ისტორიული და მითოლოგიური ექსპონატები თემატურად მრავალმხრივი და ძალზედ საინტერესოა. ჩვენი თანამედროვე მხატვრები გადარჩენის მეთოდს ეძებენ და თვითრეალიზებას თანამედროვე ხერხითა და საშუალებით ახერხებენ", – ასე შეაფასა უმცროსი კოლეგები მხატვარმა გია ბუღაძემ.

ეროვნულ გალერეაში თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა 24 იანვრამდე გასტანს.

## მოკლედ

ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების გამოფენა გაიმართება. საიუბილეოდ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის დასრულებაც იგეგმება. ბაგრატის ტაძრის შემოგარენში არქეოლოგიური გათხრები არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ 1984 წელს დაიწყეს, თუმცა სამუშაოები უსახსრობის გამო, რამდენიმე წელიწადია, შეჩერებულია. როგორც "მედია-ნიუსისთვის" გახდა ცნობილი, საიუბილეოდ ქუთაისის არქეოლოგიური ცენტრის თანამშრომლები შეეცდებიან ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავებას და ციტადელის მოწესრიგებას. ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ომარ ლანჩავა ხელმძღვანელობდა, მიაკვლია შუა საუკუნეების საეკლესიო ნაგებობებს, აბანოებს, სასახლეებს და სხვა. ომარ ლანჩავამ რამდენიმე წლის წინათ ამ აღმოჩენების შესახებ გამოსცა წიგნი "ქუთაისის ისტორია". **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საოპერო დასი გაზაფხულზე ისრაელში მონაწილეობას მიიღებს ფესტივალში "რიშონ-ლე-ციონის კლასიკური გაზაფხული". გასტროლები 28 მარტიდან 2 აპრილამდე გაგრძელდება. ისრაელში ქართული დასი წარადგენს ვიქტორ დოლიძის ოპერას "ქეთო და კოტე" და გამართავს გალა კონცერტს. გასტროლების ორგანიზატორია ისრაელის საელჩო საქართველოში. **(პრაიმ-ნიუსი)**

## კალენდარი

# 19 იანვარი



"თავისუფლება – ეს სულ სხვა სიტყვაა მათთვის, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს", - ამბობდა ჯენის ჯოპლინი, თავისუფლების ერთი-ერთი ყველაზე დიდი მეხოტბე, მეოცე საუკუნის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქალბატონი.

ჯენის ლინ ჯოპლინი 1943 წლის 19 იანვარს ტეხასის შტატში, პატარა ნავთობმწარმოებელ ქალაქში, პორტ-არტურში, დაიბადა. მამა – სეტ ჯოპლინი საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა, დედა, დოროთი კი – ბიზნეს კოლეჯის რეგისტრატურაში. პატარა ჯენისის ხელოვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება სწორედ მშობლების დამსახურებაა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მომავალ ვარსკვლავს ადრეული ასაკიდანვე ჰქონდა მიდრეკილება მარტოობისა და თვითანალიზისკენ. მის ცხოვრებაში მეგობრების ადგილი ბლუზისა და ქანთრის ჩანაწერებს ეჭირათ. მისი საყვარელი შემსრულებლები იყვნენ: ოდეტა, ლედბელი და ბესი სმიტი. მალე ჯენისმა თავად დაიწყო სიმღერების წერა. სიმღერის გარდა, გატაცებული იყო მხატვრობით.

სწავლობდა ტეხასის უნივერსიტეტში, რომელიც მალევე მიატოვა, ხოლო 17 წლის ასაკში საერთოდ სახლიდან წავიდა. მისი ოჯახი ღამის ბარები იყო, სადაც მომღერლად გამოდიოდა. 1965 წელს გადავიდა კალიფორნიაში, სადაც ბლუზისა და ფოლკის რეპერტუარით შემოიარა ღამის კლუბები. ქალაქ ოსტინში მონაწილეობა მიიღო კონკურსში, რის შემდეგაც ქანთრი-ენდ-ვესთერნ ორკესტრში დაიწყო მუშაობა. იმპრესარიო ჩეტ ჰელმზის წყალობით კი მოხვდა სახელგანთქმულ სან ფრანცისკოულ ჯგუფში Big Brother And The Holding Company, რომელსაც ვოკალისტი ქალი სჭირდებოდა. იმავე წელს ჯოპლინი სან ფრანცისკოს ჰიპების დაჯგუფების წევრი გახდა.

როდის დაიწყო ჯოპლინის ტრაგიკული ცხოვრება, ძნელი დასადგენია. მარტოობაში გატარებული ბავშვობის შემდეგაც არ ყოფილა მომღერალი ადამიანებთან საიმედო ურთიერთობებით განებივრებული. პირველ მამაკაცთან ცხოვრება ჯენისის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მოულოდნელად დასრულდა. ამის შემდეგ, ჯოპლინმა გადაწყვიტა, აღარასდროს ჰქონოდა მამაკაცების სიყვარულის იმედი.

სამაგიეროდ, წარმატებები ჰქონდა კარიერაში. ჯოპლინისა და მისი ჯგუფის გამოსვლამ როკ-მუსიკის ისტორიაში მონტერეის პირველ ფესტივალზე, ხმისჩამწერი კომპანია Columbia Records-ის წარმომადგენლებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. შედეგად, ხელი მოეწერა კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც იმავე წელს გამოვიდა ჯგუფის პირველი ალბომი. კრებულში შევიდა ჰიტი Piece Of My Heart, რომელმაც აშშ-ის ჰიტ-აღლუმებში მეთორმეტე ადგილი დაიკავა.

მალე ჯოპლინმა საკუთარი Kozmic Blues Band შექმნა და დაიწყო სოლო კარიერა. ჯენისი ჯგუფთან ერთად ბევრს მოგზაურობდა, მონაწილეობდა სხვადასხვა სატელევიზიო შოუებში. 1969 წელს გამოჩნდა მისი პირველი სოლო ალბომიც, რომელმაც წარმატებებს სწორედ ჯენისის ვოკალის წყალობით მიაღწია.

"ყოველ დილით ვცდილობ დავიწყო ახალი ცხოვრება, მაგრამ რაღაც მექაჩება უკან...", - ამბობდა ხშირად. ნარკოტიკები, შესაძლოა, მომღერლის ყველაზე დიდი პრობლემა იყო, რამაც გარკვეულწილად განსაზღვრა როგორც ჯოპლინის პირადი ცხოვრება, ისე მისი შემოქმედება...

1970 წლის 4 ოქტომბერს ჯენისი მეგობარ მამაკაცს უნდა შეხვედროდა, მაგრამ მომღერალი დათქმულ დროს არ გამოჩნდა. ჯენისს საგასტროლო ტურნეს მენეჯერმა დაუწყო ძებნა. ვარსკვლავის ავტომანქანა ჰოლივუდის სასტუმრო "ლენდმარკის" ავტოსადგომზე იყო, თავად ჯოპლინი კი სასტუმროს ნომერში მკვდარი იპოვეს. მიზეზი ჰეროინის ზედმეტი დოზა იყო.

გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა ალბომი Pearl, 1974 წელს გამოვიდა დოკუმენტური ფილმი "ჯენისი", 1979 წელს მხატვრულ ფილმში "ვარდი", მომღერლის როლს მსახიობი ბეტ მიდლერი ასრულებდა.

იმის მიუხედავად, რომ ჯენის ჯოპლინმა მხოლოდ 27 წელი იცხოვრა, იგი მილიონობით ადამიანის გულში ნამდვილ ლეგენდად დარჩა. ისევე როგორც ყველა დიდი ხელოვანი, ჯოპლინიც მხოლოდ სტუმარი იყო ამქვეყნად. ალბათ ამიტომაც, ლეგენდა არ დაასაფლავეს, მისი ფერფლი კი კალიფორნიაში მოაფრქვიეს.

**ჯენის ჯოპლინი** 1943 წლის 19 იანვარს დაიბადა. დღეს მას 60 წელიწადი შეუსრულდებოდა.

## მოკლედ

**ფეხბურთი.** არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა რომიდან მილანში გადაბარგდა და ამიერიდან "ინტერის" ღირსებას დაიცავს. "რომაში" ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ კაპელომ თავდამსხმელთან განშორება გადაწყვიტა. თავის მხრივ, მისი შეძენის დიდი სურვილი ჰქონდა "ინტერს", რომელსაც უპირველესი მეგოლე ერნან კრესპო დაუშავდა და სეზონის ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანიის მეორე ბუნდესლიგის "ზანკტ პაულის" ხელმძღვანელობამ სურვილი გამოთქვა, პოლ გასკოინი თავის კლუბში იხილოს. ამჟამად ინგლისელი ფეხბურთელი ჩინეთშია და ცდილობს, იქ გააგრძელოს კარიერა, თუმცა, ჯერჯერობით მის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, "გაზა" გერმანელთა წინადადებას დათანხმდეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ბლექბერნის" ამერიკელი მეკარე ბრედ ფრიდელი თავისი ქვეყნის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გუშინ გააკეთა ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტექნიკაც ამყარებს რეკორდსო, ხომ გაგიგიათ ასეთი სარეკლამო განცხადება, ჰოდა... დევიდ ბექჰემი ამიერიდან ახალი "კოსმოსური" ბუცებით ითამაშებს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ამ ბუცებით შესრულებილი დარტყმისას ბურთის აჩქარება უფრო მეტი იქნება, ვიდრე "აპოლო 11"-ის (პირველი კოსმოსური ხომალდი, რომელმაც მთვარეს მიაღწია) აჩქარება დედამიწიდან მოწყვეტის მომენტში. ახალი ბუცების კონსტრუქცია ასევე გააუმჯობესებს ფეხბურთელის მიერ ბურთზე კონტროლს, რაც ინგლისელ ნახევარმცველს მეტოქეთა გაბითურებაში დაეხმარება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანიის "კაიზერსლაუტერნის" ფეხბურთელმა მარიო ბასლერმა 10 000 ევრო დადო ტოტალიზატორში იმაზე, რომ მისი გუნდი მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდება. "თუ მაინც ასე მოხდა, "კაიზერის" ერთგული დავრჩები და გუნდს დაბალ ლიგაშიც არ მივატოვებ", - აღნიშნა ბასლერმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუსეთის ნაკრების მეკარე, რუსლან ნიგმატულინი, სეზონის დარჩენილ ნაწილს იტალიურ "სალერნიტანაში" ჩაამთავრებს. ამის შესახებ "სალერნიტანამ" და ფეხბურთელის მფლობელმა "ვერონამ" მოილაპარაკეს. "სალერნიტანა" ამჟამად სერია ბ-ს აუტსაიდერია და მდგომარეობის გამოსწორებას რუსი გოლკიპერის მეშვეობით აპირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მოსკოვის "სპარტაკის" ვლადისლავ ვაშჩუკის ხელმოწერის ექსპერტიზას FIFA-ში ითხოვენ. კიევის "დინამოს" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ფეხბურთელს კლუბთან 2004 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი და ამას თავად ვაშჩუკის ხელმოწერილი დოკუმენტიც ადასტურებს. თავად ფეხბურთელი უარყოფს, რომ რაიმე დოკუმენტს მოაწერა ხელი. ბუნებრივია, მოსკოველები მას უჭერენ მხარს და FIFA-ს წარმომადგენელთა თანდასწრებით აპირებენ ექსპერტიზის ჩატარებას, რათა გაარკვიონ, მართლა ვაშჩუკს ეკუთვნის თუ არა ხელმოწერა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სერგეი რებროვის "ტოტენჰემიდან" "ფულემში" გადასვლის საკითხი ძალიან გაჭიანურდა და, შესაძლოა, არც შედგეს. საქმე ის არის, რომ "ტოტენჰემმა" ადრე მოთხოვნილი 1 მილიონი გირვანქა სამ მილიონამდე გაზარდა, რაზეც "ფულემი" არ დათანხმდა. ამავე დროს უკრაინელი ფეხბურთელის ყიდვა სტამბულის "ფენერბახჩეს" სურს, თუმცა, სამი მილიონის გადახდას არც ის თანხმდება და მხოლოდ 2 მილიონს იძლევა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გასულ სეზონში კონსტრუქტორთა პირველობის გამარჯვებული, "ფერარი", წლევანდელი სეზონისთვის ახალ ბოლიდს 7 თებერვალს წარმოადგენს. იტალიური საჯინიბოს პრეს-სამსახურის განცხადებით, ახალი მოდელი შარშანდელის გაუმჯობესებული ვარიანტი იქნება. პრეზენტაციის შემდეგ ბოლიდი ტესტირებას გაივლის ფიორანოს ტრასაზე, თუმცა, გამორიცხული არ არის, შარშანდელის მსგავსად, იტალიელებმა წლეულსაც თავდაპირველად ძველი მოდელით დაიწყონ ასპარეზობა.

## კალენდარი

## 19 ოქტომბერი




1966 - დაიბადა შტეფან ედბერგი. გამორჩეული შვედი ჩოგბურთელი. "დიდი სლემის" ტურნირის 6-გზის გამარჯვებული.

1969 - დაიბადა პრედრაგ მიატოვიჩი (ფოტო). იუგოსლაველი ფეხბურთელი. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში.

1973 - დაიბადა ევგენი სადოვი. რუსი მოცურავე. 1992 წლის ოლიმპიადაზე მოიპოვა ოქროს 3 მედალი.

## ისტორიული ფოტო

## ეს იყო 30 წლის წინათ...



1973 წლის 14 ივნისი, ტურინი, "დელე ალპის" სტადიონი. ამხანაგური მატჩი იტალიისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის (2:0). ჯანკარლო ფაკეტი და ბობი მური ვიმპელების გაცვლისას.

### ფეხბურთი

# ექსპერიმენტი ორი შემადგენლობით

მიხეილ აბაიშვილი

კვიპროსზე საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ პირველი ამხანაგური ტესტ-მატჩი გამართა. საქართველოს ჩემპიონატის ლიდერის მეტოქე იყო რუსეთის ჩემპიონატის პირველი ლიგის ბინადარი, ხაბაროვსკის "სკა". შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა, რაც თბილისის "დინამოს", დამეთანხმებით, დადებით შედეგად ვერ ჩაეთვლება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩრდილოელებს, მათთვის საპატიო შედეგის მიღწევაში, რამდენიმე სუბიექტური გარემოება წაეხმარა. კერძოდ, თამაშის დღეს შუშაკმა დილის ვარჯიში ჩვეულებრივ რიტმში ჩაატარა და გუნდმა "სკასთან", საფეხბურთო ტერმინი რომ ვიხმაროთ, დატვირთვების ფონზე ითამაშა. ამას გარდა, ხორვატმა მწვრთნელმა პირველი ტაიმის შემდეგ სრულად გამოცვალა ძირითადი შემადგენლობა და მეორე ნახევარში თერთმეტმა სათადარიგო ფეხბურთელმა ითამაშა. გაგაცნობთ "დინამოს" პირველი და მეორე ტაიმის შემადგენლობებს. პირველი ტაიმი: ზოიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, დარასელია, ბურდული, ალექსიძე, ახალაია. მეორე ტაიმი: გვარამაძე, მანწკავა, ვაშაკიძე, კანდელაკი, სახვაძე, მაზიაშვილი, იაშვილი, მანჩხავა, სამხარაძე, ბობოხიძე, მიქაძე.

პირველმა შემადგენლობამ აშკარად დაჯაბნა მეტოქე, მაგრამ ერთი გოლის მეტი ვერ გაიტანა. ეს გოლი ახალაიას ანგარიშზეა, რომელსაც ასისტირება დარასელიამ გაუწია. დინამოელ თავდამსხმელებს დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო ზუსტად რომ ეთამაშათ, ანგარიში პირველივე ტაიმში სოლიდურ სახეს მიიღებდა. "სკას" ფეხბურთელები მეორე ტაიმში, "დინამოს" დუბლშემადგენლობასთან გააქტიურდნენ და 72-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს. გოლი აქტივში ჩაიწერა ოლეგ შევჩენკომ. როგორც "დინამოს" პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვაცნობა, ამ შეხვედრაში შუშაკმა პირველად გამოსცადა სათამაშო სქემა 4-4-2. ასეთი სქემით გუნდს ხორვატი მწვრთნელის ხელში ჯერ არ უთამაშია. შუშაკი ყოველთვის 3-5-2-ს ამჯობინებდა.

ამავე გუნდთან ტესტ-მატჩი გამართა რევაზ ძოძუაშვილის "სპარტაკ-ალანიამაც". ისიც ფრედ, ოღონდ 2:2 დასრულდა.

"დინამოში" ერთი სიახლეა. მოგეხსენებათ, ვიტალი დარასელია 9-ნომრით ასპარეზობდა. როგორც ლევან სალუქვაძემ გვითხრა, არჩილ სახვაძემ დარასელიას დაუთმო 6-ნომრიანი მაისურა და "დინამოში" ტრადიცია აღდგა: ვიტალი დარასელია სახელოვანი მამის 6-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

დღეს თბილისის "დინამო" მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს. მისი მეტოქე რუსეთის ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდი, ვორონეჟის "ფაკელი" იქნება.

### ჩოგბურთი

# საფინისთვის ტურნირი დასრულდა

*მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 12 004 900 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟებში - ტომას იუჰანსონი (შვედეთი), ქალებში - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). მესამე წრე.*

**ვაჟები**

რაინერ შუტლერი (გერმანია, 31) - მარატ საფინი (რუსეთი, 3) საფინმა თამაშზე უარი განაცხადა.

როჟე ფედერერი (შვეიცარია, 6) - ანდრეას ვინჩიგერა (შვედეთი) 6:3, 6:4, 6:2

დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 10) - ქსავიე მალისი (ბელგია, 20) 4:6, 6:2, 6:0, 3:0 მალისმა თამაში შეწყვიტა.

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 23) - ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 4:6, 6:2, 6:2

იუნეს ელ-აინაუი (მაროკო, 18) - ელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 5:7, 6:2, 7:6 (7:3), 7:6 (10:6)

მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 25) - ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 7) 6:1, 3:6, 6:3, 6:2

**ქალები**

კიმ კლიისტერსი (ბელგია, 4) - ტატიანა პუშნიკი (ბელორუსი) 6:2, 6:1

მეგან შონესი (აშშ, 25) - კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:3

სერენა უილიამსი (აშშ, 1) - ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი, 26) 6:1, 6:1

ელენა ბოვინა (რუსეთი, 20) - მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 11) 7:5, 4:6, 7:5

ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 18) - ნატალი დეში (საფრანგეთი, 16) 6:4, 6:3

ანასტასია მისკინა (რუსეთი, 6) - კლარისა ფერნანდესი (არგენტინა, 28) 6:3, 3:6, 6:3

ჩანდა რუბინი (აშშ, 10) - ბარბარა შვარცი (ავსტრია) 6:3, 6:2

ამანდა კეტცერი (სარ, 19) - ანა პისტოლეზი (იტალია, 14) 6:0, 6:2




*მარატ საფინი*

რუსების მთავარი იმედი და მსოფლიოს მესამე ჩოგანი მარატ საფინი ავსტრალიას დაემშვიდობა. ჩოგბურთელი სამშობლოში სამკურნალოდ გაემგზავრა. საფინმა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მესამე წრეში გერმანელ რაინერ შუტლერთან თამაშზე უარი განაცხადა. მიზეზი ხელის მტევნის ტრავმაა.

საფინის განცხადებით, ხელის ტკივილმა ის ჯერ კიდევ პირველ წრეში, ჰოლანდიელ რამონ სლუიტერთან დაპირისპირებისას შეაწუხა, როცა ერთ-ერთ ეპიზოდში კორტზე გაიშხლართა. ახლა რუს ჩოგბურთელს გადაწყვეტილი აქვს, მკურნალობისთვის სამკვირიანი შვებულება აიღოს, რაც სათუოს ხდის თებერვლის დასაწყისში დაგეგმილ დევისის თასის გათამაშებაში მის მონაწილეობას.

აღმოჩნდა, რომ ხელის ტრავმის გარდა, საფინს, თურმე, მხარიც აწუხებს, რის გამოც მან, ავსტრალიის ჩემპიონატის დაწყებამდე, "ადიდასის" ტურნირი გამოტოვა. საფინის ტრავმამ გერმანელ რაინერ შუტლერს მეოთხე წრის საგზური გაუნაღდა.

საერთოდ, ავსტრალიის ღია პირველობაზე ბევრი ტრავმა ფიქსირდება. ტრავმის გამო თამაშის გაგრძელებაზე ბელგიელმა ქსავიე მალისმაც უარი განაცხადა. თუმცა, რუსები ხელცარიელნი მაინც არ დარჩენილან. გათამაშების მეოთხე წრეში გავიდა მიხაილ იუჟნი, რომელმაც ოთხ სეტში იოლად მოუგო ტურნირის მე-7 ნომერს, ჩეხ ირჟი ნოვაკს.

რაც შეეხება სხვა განთესილებს, მათ მშვიდობიანად გააღწიეს მომდევნო წრეში. ქალთა ნახევარში ძალთა ბალანსი არ დარღვეულა. ფავორიტებმა ჩოგბურთის მორიგი გაკვეთილები ჩაატარეს. მეოთხე წრეში გავიდნენ კიმ კლიისტერსი (4), სერენა უილიამსი (1) და მეექვსე ნომრად განთესილი, რუსი ანასტასია მისკინა.

### რალი

# დაკარის მეთხუთმეტე გაელვება

*ეგვიპტელ ფარაონთა სავანიდან გამოსული ეკიპაჟებისთვის მეთხუთმეტე ეტაპის მთავარი წინაღობა, მომქანცველი მარშრუტის გარდა, GPS-ის თანამგზავრული სანავიგაციო სისტემის გამოყენების აკრძალვაც გახლდათ. იმის მიუხედავად, რომ "ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის მონაწილეთათვის ჩრდილო ეგვიპტის უდაბნოში გზის არაერთი აღმნიშვნელი იყო განთავსებული, მრავლად იყო გადასახვევები, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ, მრბოლთათვის თავგზა აებნიათ. ერთი სიტყვით, მთელი ჯაფა შტურმანებს დააწვათ. ამიტომ ეკიპაჟებს განსაკუთრებული ყურადღება მართებდათ, რათა აღმა-დაღმა ტყუილუბრალო სიარულში დრო არ დაეკარგათ.*

გიგა გურასაშვილი

ვიდრე ასპარეზობას შემორჩენილი 192 მონაწილე ლუქსორიდან აბუ რიშამდე გაჭიმულ 477-კილომეტრიან სპეციალურ მონაკვეთს გაუდგებოდა, ყველა მათგანს, ძველებურად, ერთი მიზანი და ამბიცია ამოძრავებდა – ხიფათის გარეშე და საუკეთესო შედეგით მიეღწია დანიშნულ ადგილამდე. ის, რომ "დაკარის" მსვლელობისას საბურავები ბუშტებივით სკდება, ეს ჩვეული ამბავია. ამ მხრივ ეკიპაჟებს მეთხუთმეტე ეტაპზეც განსაკუთრებით მართებდათ ყურადღების გამახვილება, ბუნებრივია, გამორჩეული კლდოვანი ლანდშაფტის გამო.

იტალიელი ფაბრიციო მეონის წინა ეტაპზე დაზიანებულმა და ნაწილ-ნაწილ დაშლილმა KTM-ის მოტოციკლმა ამჯერად მშვიდობიანად ჩააღწია აბუ რიშამდე, ამასთან, საუკეთესო შედეგით – 4 საათი, 42 წუთი და 25 წამი. მას წინააღმდეგობა გაუწია ერთადერთმა მონაწილემ - შვედმა პერ-გუნარ ლუნდმარკმა. ეს უკანასკნელი "პარიზი-დაკარის" 2001-2002 წლების ტრიუმფატორზე წუთისა და 47 წამის დაგვიანებით მივიდა ფინიშის ხაზთან. აბსოლუტური ჩათვლის ლიდერმა, ფრანგმა რიშარდ საინტმა კი მეოთხემ დაასრულა რეიდი. მასზე წინ აღმოჩნდნენ პერსპექტიულ მრბოლად მონათლული, ესპანელი მარკ კომა და ფრანგი კირილ დესპრესი, რომლებმაც, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები დაიკავეს. მართალია, დესპრესმა, რომელიც საინტის მთავარ მეტოქედ მიაჩნიათ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი წუთი გაუქვითა, მაგრამ ეს მისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია. დესპრესს, ცხრილის სათავეში რომ მოკალათდეს, საინტთან ათწუთიანი ზღვარი აქვს ამოსაქაჩი. რამდენიმე წარუმატებლობის შემდეგ, ბოლო ორი დღის შედეგების მიხედვით, საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა მარკ კომამ. აბსოლუტურ ჩათვლაში სამეულში მოსახვედრად ესპანელს სამიოდე დღეღა რჩება.

მეცამეტე ეტაპის მსგავსად, მეტოქეები ახლო არ გაუკარებია Nissan-ის პილოტს, ფინელ არი ვატანენს. თავდაპირველად 50 წლის მრბოლს იაპონელი ჰიროში მასუოკას Mitsubishi მისდევდა. ასპარეზობის შუაწელში კი მას იტალიელი მიკი ბიაზონის Mitsubishi და ფრანგი ლიუკ ალფანის BMW წამოეწივნენ, მაგრამ არცთუ სახიფათოდ. ალფანს ხელი შეუშალა იმან, რომ 50-ე კილომეტრზე საბურავი გაუსკდა, თუმცა, ამისგან დაზღვეული არც ვატანენი აღმოჩნდა. რალიში მსოფლიო ჩემპიონატების ვეტერანმა მე-200 კილომეტრზე შეცვალა საბურავი. თუმცა, ფინელს მეტოქეთა დამარცხება არც ამ შემთხვევაში გასჭირვებია. Mitsubishi-ის ავტოპარკიდან საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა 1988 და 1989 წლების ავტორალის მსოფლიო ჩემპიონს ბიაზონის, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მესამეზე კი ვატანენის თანაგუნდელი, სამხრეთაფრიკელი ჟინელ დე ვილერსი გავიდა. მიუხედავად ამისა, აბსოლუტურ ჩათვლაში კვლავაც Mitsubishi-ები ლიდერობენ. პირველ ხუთ ადგილს სწორედ ეს უკანასკნელნი დაპატრონებიან.

სატვირთო მანქანების კლასში Камаз-ის რუსულ ეკიპაჟს, ფირდაუს კაბიროვის ლოცმანობით, 201-ე კილომეტრზე საბურავი გაუსკდა. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოახერხა, აბსოლუტური ჩათვლის ლიდერისთვის, თანაგუნდელ ვლადიმირ ჩაგინის ეკიპაჟისთვის გამარჯვება ხელიდან გამოეგლიჯა. მესამემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი Tatra-ს ჩეხურ-ბრაზილიურმა ეკიპაჟმა ანდრე დე აზევედოს მესაჭეობით.

### ჭადრაკი

# პონომარიოვს ულტიმატუმი წაუყენეს

FIDE-მ გაავრცელა პასუხი უკრაინელი მსოფლიო ჩემპიონის, რუსლან პონომარიოვის ღია წერილზე, რომელიც მან პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს გაუგზავნა. საქმე ის არის, რომ FIDE პონომარიოვს სთხოვს, ხელი მოაწეროს კონტრაქტს, რომლის ძალითაც იგი ვალდებული იქნება, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩში შეხვდეს FIDE-ს ოფიციალურ წარმომადგენელს გარი კასპაროვს.

პონომარიოვმა ულტიმატუმი არ მიიღო და ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას შეუთვალა, რომ ამ შეხვედრამდე საჭიროა, მან და FIDE-მ ოფიციალური ურთიერთობა გააფორმონ. FIDE-ს ოფიციალურ პასუხში კი უარყოფილია პონომარიოვის არგუმენტები, თითქოს მან სლოვენიის ქალაქ ბლედში, ნოემბრის გენერალურ ასამბლეაზე, არ მიიღო პარიზის შეთანხმების ოქმი. მოკლედ, FIDE-მ უკრაინელს ნათლად აგრძნობინა, ზღაპრების მოყოლას მოეშვას და ფედერაციის მოთხოვნები შეასრულოს.

ოფიციალურ დოკუმენტში, რომელსაც FIDE-ს აღმასრულებელი დირექტორი ემანუელ ომუკუ აწერს ხელს, ნათქვამია, რომ პონომარიოვმა უკვე სამჯერ თქვა უარი კასპაროვთან შეხვედრაზე - ბლედში, უკრაინასა და ვეიკ-ან-ზეეში. ომუკუს თქმით, პონომარიოვის მენეჯერმა, სილვიო დანაილოვმა, თავისი კლიენტის სახელით ოთხი მოთხოვნა ჩამოაყალიბა. 1. კასპაროვთან მატჩის დაწყების დრო გადატანილ იქნას 15 ივნისისთვის, 2. მატჩის შედეგის მიუხედავად, საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოს, 3. კასპაროვთან მატჩი FIDE-ს კონტროლით გაიმართოს - პარტიისთვის 1,5 საათი და ნახევარი წუთი ყოველი სვლისთვის, 4. ფრეს შემთხვევაში პონომარიოვისთვის ტიტულის შენარჩუნება.

FIDE დათანხმდა მსოფლიო ჩემპიონის პირველ მოთხოვნას და ნაწილობრივ მეორეს. საპრიზო ფონდი გაიყოფა - 55:45-ზე გამარჯვებულის სასარგებლოდ. რაც შეეხება დროის კლასიკურ კონტროლს, ის პარიზის შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, ხოლო ფრეს შემთხვევაში ჩემპიონისთვის პრივილეგიების მინიჭება FIDE-ს პრინციპებს ეწინააღმდეგება. პონომარიოვმა არ მიიღო FIDE-ს ეს წინადადებები, რომლებიც კასპაროვმაც გაიზიარა. ამიტომ ომუკუ თავის ბარათს მკაცრი გაფრთხილებით ამთავრებს.

"FIDE არ აპირებს, დაუსრულებლად ელოდოს თავის მსოფლიო ჩემპიონს, რომელიც, ერთი მხრივ, აცხადებს, რომ პარიზის შეთანხმების ერთგულია, ხოლო, მეორე მხრივ, უარს ამბობს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად FIDE-ს ოფიციალურ წარმომადგენელს შეხვდეს. FIDE-ს პრეზიდენტს არ სურს, ამ სიტუაციის მძევლად იქცეს და სურს, თავიდან აიცილოს გაუგებრობა. ამიტომ კონსულტაციებს იწყებს პრეზიდენტის საბჭოს წევრებთან და შედეგებს დადგენილი წესის შესაბამისად გამოაცხადებს".

# სანდესი ლევიტაციით გაიხსნა

16 იანვარს პარკ-სიტიში დამოუკიდებელი კინოს ფესტივალი, "სანდენსი" გაიხსნა. "სანდენსს" დამწყები კინემატოგრაფისტებისათვის სასტარტო მოედნად მიიჩნევენ. აქ უპრობლემოდ უჩვენებენ მცირებიუჯეტიან ფილმებს. ეს კინოფესტივალი 22 წლის წინ დაარსდა; 80-იან წლებში "სანდენსის" ორგანიზატორები პარკ-სიტის ქუჩებში გამოდიოდნენ, უფასოდ არიგებდნენ ბილეთებს და ასე იტყუებდნენ მნახველებს. კინოფესტივალს ახალი სუნთქვა გაეხსნა, როცა 1985 წელს მას რობერტ რედფორდი ჩაუდგა სათავეში. ამ წელს ფესტივალმა მაშინ ყველასათვის უცნობ ძმებ კოენებს გადასცა მთავარი პრიზი ფილმისათვის "უბრალოდ სისხლი". ამის შემდეგ ბევრი მსახიობის კარიერა სწორედ "სანდენსიდან" დაიწყო. მეგი გილენჰაალმა, რომელიც დღეს ამერიკული კინოინდუსტრიის ერთ-ერთ იმედისმომცემ მსახიობად ითვლება, სწორედ "სანდენსიდან", ფილმით "მდივანი", დაუდო დასაბამი თავის კინოკარიერას. დღეს გილენჰაალმა უკვე ითამაშა სპაიკ ჯონსის ფილმში "ადაპტაცია" და ჯორჯ კლუნის სარეჟისორო დებიუტში "საშიში გონების აღიარება".

ტრადიციულად, "სანდენსის" კინოფესტივალზე მთავარი ადგილი ხმაურიან პრემიერებს და არასაკონკურსო ჩვენებებს ეთმობა. წელს კინოფესტივალი "ლევიტაციით" გაიხსნა, რომელშიც ბილი ბობ ტორტონი და მორგან ფრიმენი მონაწილეობენ. ტორტონი თამაშობს პატიმრის როლს, რომელსაც ბინის გაქურდვის დროს ბავშვი შემოაკვდება. ტორტონის გმირი 11-წლიანი პატიმრობის მანძილზე გაზეთიდან ამოჭრილ მოკლულის სურათს უყურებს და ცდილობს, დანაშაული გამოისყიდოს.


სალმა ჰაიეკი

ამერიკელები განსაკუთრებით ელოდებიან "საჭირო ხალხის" პრემიერას ალ პაჩინოს მონაწილეობით.

არასაკონკურსო ჩვენებაში თავიანთ სარეჟისორო სადებიუტო ნამუშევრებს სალმა ჰაიეკი და მეტ დილონი უჩვენებენ. როგორც ჩანს, მექსიკურ-კათოლიკურმა ფესვებმა სალმა ჰაიეკს მისტიკური დრამის გადაღებისკენ უბიძგა. "მალდონადოს სასწაული" - ასე ჰქვია ჰაიეკის ფილმს, სადაც ერთი პატარა ქალაქის მცხოვრებლების ყოფა მას შემდეგ იცვლება, რაც ქრისტეს ქანდაკებას სისხლიანი ცრემლები წამოუვა. ახალგაზრდა მსახიობმა, მეტ დილონმა გადაიღო თრილერი, "მოჩვენებათა ქალაქი". დილონმა ერთ-ერთ როლზე თვით ჟერარ დეპარდიე მიიწვია.

წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ როგორ ფილმებს მიანიჭებენ უპირატესობას. ფესტივალის დირექტორმა, ჯეფ გილმორმა კი მხოლოდ ის აღნიშნა, რომ წელს წარმოდგენილი ფილმები ევროპული მგრძნობელობით გამოირჩევიან, რაც ახალი იდეების საწინდრად იქცა.

სანდენსის კინოფესტივალზე განსაკუთრებული სერიოზულობით დოკუმენტურ ფილმებს უდგებიან და მათი ჩვენება ფორუმის ყველაზე საინტერესო ნაწილია ხოლმე. წელს წარმოდგენილი იქნება მთელი რიგი ფილმებისა, რომლებშიც ავტორები 60-70-ანი წლების ეპოქის გააზრებას ცდილობენ. ნაჩვენები იქნება რადიკალური ანტისაომარი დაჯგუფებისადმი მიძღვნილი ფილმი The Wheather Underground. ხოლო ფილმი The Pills ქალთა ემანსიპაციის ისტორიაში ჩასახვის საწინააღმდეგო აბების როლის შესახებ მოგვითხრობს. წლევანდელ კინოფესტივალს MTV-ის დოკუმენტური ფილმების განყოფილების უფროსი, ლორან ლეიზელი ესტუმრა და საკუთარი ფილმიც ჩაიტანა - "თუფაქი: აღდგომა." ფილმი ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავს, 1996 წელს მოკლულ თუფაქ შაქურს ეძღვნება.

# ტელეფონი, რომელსაც ვერ დაკარგავ

ტაივანური კომპანია Dbtel უკვე ოცი წელია, ადგილობრივ ბაზარს ტელეფონებით და სატელეკომუნიკაციო ტექნიკით ამარაგებს. ამიტომ, თითქოს, მათ ბოლო პრეზენტაციას საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა არ უნდა გამოეწვია. თუმცა, როდესაც საუბარია, ძვირფასი ლითონებით დამზადებულ მობილურ ტელეფონებზე, მაშინ არც აჟიოტაჟისგან ხარ დაზღვეული...

Dbtel-ის ეს ახალი პროდუქტი კი სწორედ ასეთია. ის დამზადებულია 18-კარატიანი ოქროთი და მოოჭვილია 5-კარატიანი ბრილიანტით. ტელეფონის ფასი მილიონი ტაივანური დოლარია (იგივე 29 ათასი აშშ დოლარი). კომპანიის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მათი ძვირფასი პროდუქტი მალე გახდება ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ტექნიკის ნაწილი და ის მთელ მსოფლიოში გაითქვამს სახელს.

თუმცა, სავარაუდოა, რომ მომხმარებელს ძვირფასთვლებიანი მობილური ტელეფონების პერსპექტივა სულაც არ ხიბლავდეს. თანაც, ბრილიანტებით მოოჭვილი მობილური ხომ სიახლე არც არის: ორიოდე წლის წინ, მსგავსი აპარატი ბრიტანეთშიც შექმნეს და ის ძალიან ძვირი, დაახლოებით 40 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირდა. რაც ყველაზე მთავარია, საზოგადოებას მის მიმართ დიდი ინტერესი არ გამოუჩენია. როგორც ჩანს, მათ, ვისაც ბრილიანტებით მოოჭვილი ნივთების შესაძენად სქელი ჯიბე ხელს უწყობს, ძვირფასი სამკაულის ყიდვას ამჯობინებს – ბრილიანტებით სავსე ტელეფონებისგან განსხვავებით, მათ ხომ ესთეტური დანიშნულებაც აქვთ.



ახალი ტელეფონის პრეზენტაციაზე

## სკანდინავიური კროსვორდი



# ზარდახშა წარსულიდან


ჩაის შესანახი კოლოფი

ახლახან ვაშინგტონში, სახელწოდებით "ზარდახშის შიგნით და გარეთ", ანტიკვარიატის 48-ე ყოველწლიური გამოფენა გაიხსნა. კოლექციონერებმა საზოგადოებას მრავალი ლამაზი და დახვეწილი კოლოფი წარუდგინეს. მათ თავის დროზე დანების, სათამაშოების, რევოლვერების, ჩაის ფოთლებისა და ვისკის შესანახად იყენებდნენ.

შესაძლოა, ბევრს ეგონოს, რომ მდიდარი კოლექციონერების უბრალო ყუთებით გატაცება აბსურდული ჰობია. თუმცა, თუ ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ძველ ამბები, და ზოგადად წარსული ამ მშვენიერ კოლოფებშიც არის შემონახული. მათ ხომ არსებობის 4-5 ათასწლიანი ისტორია აქვთ:

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წელს დიდგვაროვანი ბერძენი ქალები კოსმეტიკას სწორედ საგვარეულო ზარდახშებში ინახავდნენ. ამ თაღოვანი სახურავის მქონე კოლოფებს საგანგებოდ ქალებისთვის ბერძენი კერამიკოსები თიხისგან ამზადებდნენ.

უფრო მოგვიანებით, კერძოდ კი, 1776 წელს რუსეთში ქვებით მოოჭვილი კოლოფი ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა. თვით ეკატერინე დიდიც თავის დიპლომატებს ძვირფასეულობით მოჭედილი სკივრით ასაჩუქრებდა. სახურავზე დედოფლის პორტრეტი იყო გამოსახული.

კოლოფების უძველეს ტრადიციას ამერიკაშიც აგრძელებდნენ. 1951 წელს, ცნობილი ამერიკელი ავაზაკი მალკოლმ X ციხეში სწორედ ზარდახშების დამზადებით კლავდა დროს. ის ძვირფასეულობის შესანახად განკუთვნილ ხის კოლოფებს თავისი დისთვის ამზადებდა.

როგორც ხედავთ, კოლოფებს არსებობის მართლაც ათასწლოვანი ისტორია და ტრადიცია აქვს. მათ იყენებდნენ დიდგვაროვანთა სასახლეების, სამუშაო ადგილებისა და ღვთისმსახურების სახლების გასალამაზებლად. ყუთებს მოგზაურობის დროსაც ატარებდნენ თან.

ასე იქცა საუკუნეების განმავლობაში ხის, თიხისა თუ ლითონისგან დამზადებული ზარდახშები ანტიკვარიატად და კოლექციონერთა საყვარელ ქმნილებებად.

ვაშინგტონში მიმდინარე გამოფენაზე ერთ-ერთ უძველესი ექსპონატია მე-9 საუკუნის ჩინეთის თანგის დინასტიის დროინდელი სამგლოვიარო ყუთები. მათ ძველი ჩინელები ფაიფურისგან ამზადებდნენ, უკეთებდნენ თაღოვან სახურავსა და თაგვის გამოსახულების მქონე სახელურს. ამ კოლოფებში ჩინელები ინახავდნენ თმის ზეთს, რომელსაც, მათი რწმენით, მიცვალებული ახალ ცხოვრებაში გამოიყენებდა.

ვაშინგტონში ასევე წარმოდგენილია მუსიკალური ზარდახშები, ქალის ჩანთები, რომლებიც სავსეა ოქროსა და ბროლის კოსმეტიკური ბოთლებით, გასაშლელი დანებით, ჩანგლებითა და კოვზებით. ინგლისურ ყუთებს თან ახლავს კბილის, ყურისა და ენის საწმენდი, მახათები. აგრეთვე, არსებობს ყუთები ფარული განყოფილებით, რევოლვერისა და ოქროს მონეტებისათვის.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ზარდახშები, თავიანთი ფორმებითა და მასალით, ამა თუ იმ ერის ტრადიციებსა და მენტალიტეტზეც მიგვანიშნებს. ნიუ იორკის E&J Frankel-ის თანამფლობელი, ანტიკურ-აზიური ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელი ედიტ ფრანკელი აცხადებს, რომ დასავლეთში ხალხს ე.წ. ვიტრინის მენტალიტეტი აქვს. ანუ მათ სააშკარაოზე ღიად გამოაქვთ ყველა პირადი ნივთი (და შესაბამისად, გრძნობაც). ამიტომ, წინათაც, ისინი ზარდახშებს ხშირად ამშვენებდნენ ვიტრაჟებით. ჩინელები კი ინტიმურ განცდებს ყველას დასანახად არასდროს ამზეურებენ. ისინი თავიანთ ქონებას და გრძნობებს აჩვენებენ მხოლოდ იმ ხალხს, რომელთაც ამის დაფასება შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, ძველი ჩინელები ზარდახშებს არასდროს ამზადებდნენ შუშისგან – ამ ულამაზეს, მაგრამ მჭიდროდ დახურულ და შენიღბულ კოლოფებს ხომ მათი ინტიმური განცდები საიდუმლოდ უნდა შეენახათ...

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**მარჯანიშვილის თეატრი**
"ხელოვნება", რეჟ: თემურ ჩხეიძე, როლებში: მიხეილ გომიაშვილი, ზურა ყიფშიძე, ალეკო მახარობლიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
დას: 14:00; ფასი 3,5 ლარი
კიმომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", რეჟ. გოგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ფაუსტი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"საშობაო ზღაპარი", რეჟ. ოთარ ბაღათურია
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 2,3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
11 ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
"დაჭექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
საშობაო გამოფენა

**„ქარვასლა„**
თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 11:00; 14:00; 17:00 სთ; ფასი 5-8 ლარი
"გაფარჩაკებულები", რეჟ. გევინ ბრაზერი
დას: 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამარკას უკანასკნელი საქმე", მთავარ როლში რობერტ დე ნირო
დას: 17:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 19:00; 21:30 სთ; ფასი 9 ლარი

**„ელისო„**
ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"
დას: 13:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 15:00; 18:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

გაზეთი 24 საათი

19.01.03 N-17

## ბინები

### იყიდება

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა 3(5) ვაკეში, ჭავჭავაძის №72, ბქინა №25. 71 14 06

იყიდება წერეთელზე 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა მალალ ბელეტაჟზე. ფასი 25 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

იყიდება საკუთარი სახლი ნუცუბიძეზე საბაგიროსთან, ბელეტაჟზე, ხეხილის ბაღით, ავტოფარეხით. ტ: 39-87-19.

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.




## მიწის ნაკვეთი

იყიდება 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ალმაშენებლის ხეივნიდან 400 მ-ში, რესტორან „ფორტუნასთან“. 53 07 48

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

იყიდება ან ქირავდება 1-ოთახიანი ბინა ყველანაირი პირობებით ვაჟა-ფშაველაზე. 29 21 13, 8(99) 57 80 70

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში დღიურად. ფასი მოლაპარაკებით. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

უნივერსიტეტის ლექტორი მოამზადებს მოსწავლეებს და მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებს მათემატიკასა და ფიზიკაში. 38 63 73 ზურაბი

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

დავამთავრე თსუ და თსსუ. მოვამზადებ ქიმიაში, ბიოლოგიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში ბინაზე მისვლით, დილის საათებში. 38 48 65 (8 სთ-ის შემდეგ), 8(93) 39 71 19

ირმა ნიორაძის საბალეტო სტუდია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 5 წლის ასაკიდან. ფალიაშვილის ქ. N34. ტელ: 22-47-29

BRITISH HOUSE -ინგლისური სამ თვეში მოსწავლეთათვის 6 თვეში. ტ: 23-31-45 (საღამოს) 899 554469

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

შევიძენ „დიპლომატიის ისტორიის“ პირველ ტომს ან სამივეს ერთად რუსულ ენაზე ვ.პ. პოტიომკინის რედაქციით. წიგნი გამოცემულია 1941 წელს. 22 33 93 ავთო, თინა

**დაიკარგა !**
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. მის: ქ. თბილისი, გვეტაძის ქ. N 6 ბინა 17.
**ნიკოლოზ კახიძე**

დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში ვმკურნალობთ კანის დაავადებებს: ფსორიოზს, ნეიროდერმიტს, სებორეას, ეგზემას, სოკოს (ლიც. № 0002440). მიცკევიჩის 29 ა. 39 18 24 (10-დან 15 სთ-მდე), 39 80 50 (18 სთ-დან)

იყიდება სტომატოლოგიური კაბინეტი. 37 03 34, 8(99) 54 31 99

იყიდება საცხობი ღუმელი. 96 09 48

საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები. მოხრილობის, დისკოზის და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანების სუპინატორები, ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

იყიდება ინგლისური ჯიშის გოჭები. 8(99) 93 93 85

იყიდება კაპიტალური ფერმა ძროხებით, ღორებით, თხებით და ფრინველებით სოფ. გლდანში. 8(77) 48 49 49, 8(99) 94 72 51

ქირავდება თხილამურები ბავშვებისათვის. ქავთარაძის ქუჩა №16. „ლეჩკომბინატის“ მიმდებარე ტერიტორია. 8(99) 18 58 58

ვეძებთ სარეკლამო აგენტს პროდუქციის რეკლამის დასამზადებლად. 75 35 80, 8(99) 56 34 45 თამუნა

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

გვესაჭიროება ნაყინის ეტიკეტის დიზაინის დამზადება. 75 35 80, 8(99) 56 34 45 თამუნა

ახალი და ძველი ავეჯის რესტავრაცია. 98 50 54 ზურა

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

საშუამავლო ფირმა „კახი-98“ გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-დაგირავება-გაქირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

საშუამავლო ფირმა „კახი-98“ ისესხებს და გაასესხებს თანხებს ბინების მყარი გარანტიით. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

მკურნალობა - ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სახსრები, სქოლიოზი, ნევროზი. ლიც. № 9-10.4. 8(99) 94 49 10, 98 71 71, 39 18 24, 37 66 80 გოჩა

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93


**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**
**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმში.

მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.











## TV პროგრამა 19 იანვარი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული“
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ბუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო“
18.00, 00.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო“
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში“
19.15 ველური ბუნება
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი“
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.45 „ჯეოსელის კინოკლუბი“ - „პისტოლეტი პიტონი 357“ 8 77 45-79-25 სიმონა სინიორე, ივ მონტანი, „საყვარელი“ 8 77 45-79-26, კამერონ დიასი, „ლანტანა“ 8 77 45-79-27 ჯეფრი რაში, ბარბარა ხერში
00.50 მხ.ფ. „პლიაჟი“ მთ. როლში ლეონარდო დი კაპრიო
03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.10 მულტსერიალი „თოვლის პაპა“
08.35 „ამბები ჩვენზე“
09.00 „ნათლისღება“ (რეპორტაჟი სიონის საკათედრო ტაძრიდან)
13.00 მოგზაურობა სასიტყვეთში
13.30 „სპა“
13.55 მოსკოვი-თბილისი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი „მარტოობის დღესასწაული“
16.40 ანსამბლი „კელაპტარი“
17.05 საკვირაო გამოფენა
17.15 მულტსერიალი „პრინცესა ნერი“
17.40 ტელეზღაპარი
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „საქართველო არის ესე“
18.45 „ჩემპიონი“
19.15 ზ. წერეთელი
19.25 „ჩვენი მისამართია“
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 „ამბოხენ“
21.25 ტელესერიალი „ქალთა სავანე“
22.15 მუსიკალური ოქტაგონი
23.05 „ჩვენ მშვიდობა“
23.30 სატ. კინოდარბაზი „დიდება უფალს“
00.00 ტაიმ-აუტი
00.30 მხ. ფილმი „შანჰაის სიურპრიზი“

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „დაკარგული ქალაქი“
18.00 ქართული მუსათეული
19.00 ინფორმატორი
19.30 ქართული მუსიკა
20.00 ვიდეორადიო
22.00 ინფორმატორი
22.30 კვირის საუკეთესო ხულიგნები
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „ღმერთისგან ცნობები არ არის“
01.45 ფილმი ღამურა „მეურვე“
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „ჭიამაია“

### იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 მხ. ფილმი „კარტუში შერის ვაჟი“
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. „ტესი“
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დოკ. ფილმი
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „მამილოს ნოსტალგია“
01.00 მხ.ფ. „გულები ატლანტიდაში“
02.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „9 იარდი“
13.30 მხ. ფილმი „კომანდოსი“
15.00 მხ. ფილმი „მისის დაუტფაიერი“
17.00 მულტფილმი „შრეკი“
18.00 ჯაზ-პარნასი
19.00 ინდ. მხ. ფილმი „შურისძიების წყურვილი“
22.00 მხ. ფილმი „გატაცება 60 წამში“
00.10 მხ. ფილმი „ბლეიდი“

### მეცხრე არხი

10.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
10.45, 12.35, 13.30, 15.20, 17.00, 19.10, 23.40 მუსიკა
11.00 მხ. ფილმი „ზვიგენის თავდასხმა 1“
13.00 მულტფილმი „ნოტრდამელი კუზიანი“
13.50 მხ. ფილმი „ამრევი ქალი“
15.40 მხ. ფილმი „კუზიანი ცხენი“
17.20 მულტფილმი „წითელქუდა“
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი“
20.00 დოკ. ფილმი „კრისტინა აგილერა“
22.00 მხ. ფილმი „ზვიგენის თავდასხმა 2“
00.00 მხ.ფილმი „უკანასკნელი მოგზაურობა“

### VII არხი

18.15 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა“
19.30 „ავტოტრეკინგი“
20.20 „კინოკლუბი „ - „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი“
22.00 მობილურები
22.40 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
23.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
23.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
01.15 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер“
08.55 Сериал „Твинисы“
09.15 Служу России! „Лазерная война“
09.45 Дисней-клуб: „Тимон и Пумба“
10.10 Дог-шоу
11.10 „Непутевые заметки“
11.30 Пока все дома
12.10 „Властелин вкуса“
13.00 Лубянка. Лев Троцкий. „Обречен на убийство“, ч. 2
13.45 „Клуб путешественников“
14.30 Дисней-клуб: „Утиные истории“
15.15 Сериал „Погода“
16.05 Умницы и умники
16.30 Телеканал „Новый день“. Николай Озеров. Пять лет без комментария
17.00 Телеканал „Новый день“. „Прыжок из космоса“
17.35 Воскресный „Ералаш“
18.00 Док.сериал „Живая природа“. „Братья по крови“
19.00 Времена
20.10 Худ.фильм „Мусорщик“
22.05 Боевик „Двойной удар“
00.10 Бокс. Константин Цзю - Джесси Джеймс Лейха
01.10 Комедия „Мафия!“

### РТР

07.20 Худ.фильм „Цирк“
08.50 Сериал „Дракоша и компания“
09.15 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу“
10.35 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе
11.15 Утренняя почта
11.50 „Городок“. Дайджест
12.20 Худ.фильм „На древо взгромоздясь“
14.10 Парламентский час
15.00 Вести
15.20 Вокруг света
16.15 Диалоги о животных
17.10 „Создать группу „А“. „Пуля для именинника“
18.05 Комната смеха
19.00 Комедия „Холостяк“
20.50 В „Городке“
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Голубой огонек на Шаболовке


Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაფიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

**DERTOUR-ი გთავაზობთ**

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთამო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


